ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 30 – 31 ივლისი, 2016 №179 (7105) ფასი: 50 თეთრი

## სანდრო ბრეგაძე: „ენდიაის კვლევები სასაცილოდაც კი არ მყოფნის“

„ამერიკის ელჩი ხელისუფლების საქმეებში უხეშად ერევა“

გვ.4



# „კვირიკაშვილი და მარგველაშვილი კალაძის „მოტეხვაზე“ შეთანხმდნენ“



გვ.3

## ლადო სადღობელაშვილი: „ნაციონალების და „ოცნების“ საარჩევნო სია იან კელიმ დაწერა“



## „ქართული ოცნება“ 32%, ნაციონალური მოძრაობა — 26%



ნინო ბურჯანაძე: „პირველად დამწყდა გული, რომ არ ვარ კაცი და თან კახელი“

გვ.2



ნუგზარ წიკლაური: „გაიმარჯვებს ის, ვინც იაქტიურებს“



## თორნიკე შარაშენიძე: „8 ოქტომბრის არჩევნები ყველაზე არაპროგნოზირებადია“

გვ.2

„60%-მდე ამომრჩეველი ყველა პოლიტიკურ ძალაზეა გაბრაზებული“



## ვახტანგ მაისაია: „თურქეთმა გადალახა წითელი ხაზი“

გვ.5

## მამუკა გიორგაძე: „საქართველოს ამომრჩეველი არ მონაწილეობს ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში“



„პარლამენტში გავლენებისთვის მებრძოლები კი არა, ქვეყანაზე მზრუნველი ადამიანები უნდა იყვნენ“

გვ.4

ISSN 1987-9385

## საქართველოს ეკონომიკას სტაგნაციის ხანა ელის



გვ.6

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თორნიკე შარაშენიძე: „8 ოქტომბრის არჩევნები ყველაზე არაპროგნოზირებადია“

## „60%-მდე ამომრჩეველი ყველა პოლიტიკურ ძალაზეა გაბრაზებული“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი, ჯიპას პროფესორი თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ენდიას მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკურ რეიტინგებს აფასებს.**

***– ენდიაის თანახმად, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, 17% ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, ხოლო 13% – ნაციონალურ მოძრაობას, 60%-მდე ამომრჩეველს ჯერ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა არჩევნებზე აპირებს წასვლას. ეს მონაცემები რა სურათს მოგვცემს 8 ოქტომბრის არჩევნებზე?***

– ძალიან საინტერესო მონაცემებია. მთელ ამ სოციოლოგიურ კვლევაში მნიშვნელოვანი სწორედ ის პროცენტული მაჩვენებელია, რომელსაც ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, არადა, არჩევნებამდე ორი თვეა დარჩენილი. 60%-მდეა ის ამომრჩეველი, რომელიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ვერ ახდენს ვერცერთ პოლიტიკურ ძალასთან. სწორედ ამ გადაუწყვეტელმა ამომრჩეველმა 8 ოქტომბერს შეიძლება თავდაყირა დააყენოს დღეს არსებული მონაცემები.



რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, 17%, რომელიც აქვს „ქართულ ოცნებას“ და 13%, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას აქვს, გვეუბნება, რომ დღეს ქვეყანაში არის ორი მთავარი პოლიტიკური ძალა, ერთი, რომელიც ხელისუფლებაშია და მეორე, რომელიც ოპოზიციაშია. ხმები ძირითადად ამ ორ ძალას შორის გაიყოფა.

***– დანარჩენი პარტიები?***

– ამ კვლევაში ალასანიას პარტიის რეიტინგი, წინა კვლევებთან შედარებით, ქვევით არის. ასევე დაბალი რეიტინგი აქვს ბურჭულაძის პარტიას. ეს სიგნალი უნდა იყოს ამ პარტიებისთვის. რაც შეეხება ინაშვილის პატრიოტთა ალიანსს, აქ უკვე განსხვავებული სურათი გვაქვს. ხდება რადიკალიზაცია და ინაშვილის მომხრეების რაოდენობაც იზრდება.

***– რამ გამოიწვია ეს?***

– მიზანმიმართულმა მხარდაჭერამ მთავრობისგან და საკუთარმა ტელევიზიამ. ასევე აქ არის კონკურენცია ბურჯანაძესთან.

***– ამომრჩეველი, რომელსაც ჯერ არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული, მაგრამ არჩევნებზე წასვლას აპირებს, სურათს მკვეთრად შეცვლის?***

– რა თქმა უნდა. სწორედ ამიტომ არის, რომ ეს არჩევნები ყველაზე არაპროგნოზირებადი არჩევნები იქნება. 60%-მდე ამომრჩეველი ნამდვილად არ არის ცოტა. მათ ნაწილს არც ერთი უნდა და არც მეორე. მათ არ უნდათ „ქართული ოცნება“ და არც სხვა დანარჩენი პარტიები, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს ამომრჩეველი სახლში დარჩენას არ აპირებს.

***– ვიღაცას მაინც მისცემს ხმას.***

– დიახ, ამიტომ ახლა მთავარია, ვინ მოახერხებს მათ მიმხრობას, ვინ იმუშავებს ამ ნაწილზე. ეს არ არის მარტივი საქმე. ეს არის გაბრაზებული ამომრჩეველი, რომელიც ყველა პარტიაზეა გაბრაზებული და არავისი სჯერა.

***– მაინც სად წავა ეს ხმები, როგორ ფიქრობთ?***

– თუ „ქართულმა ოცნებამ“ ამ პერიოდში შეცდომა არ დაუშვა და სწორად წარმართა ყველაფერი, ყველა ნიუანსი, მაშინ შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ მიიღოს ეს ხმები. თუ მმართველი გუნდი კიდევ უფრო გააბრაზებს ამომრჩევლის ამ ნაწილს, მაშინ ეს 60% ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ოღონდ „ქართული ოცნება“ არ ნახოს ხელისუფლებაში და სხვას ყველას მისცემს ხმას, მაგალითად, ნაციონალურ მოძრაობას.

***– წინასაარჩევნო კამპანიაზე, საარჩევნო პროგრამებზე, სლოგანზე, მესიჯზე იქნება დამოკიდებული თუ ქართველი ამომრჩეველი ჯერ კიდევ პროგრამებს არ კითხულობს?***

– მე მაინც მგონია, რომ უფრო დამოკიდებული იქნება არა იმაზე, თუ რა წერია პროგრამაში, არამედ, რას მოიმოქმედებს ამ ორი თვის განმავლობაში ხელისუფლება. „ქართული ოცნება“ თუ არ დაუშვებს სერიოზულ შეცდომას, რამე სისულელეს, მას ამ არჩევნების რეალურად მოგების შანსი აქვს. რაც შეეხება საარჩევნო კამპანიას, ასე თუ ისე, ყველამ იცის, რას უნდა ელოდოს, ვინ რას დაჰპირდება და როგორ მოატყუებს. ეს ხომ მრავალჯერ ნანახი და გაგონილია. დაპირებების ბევრს აღარ სჯერა, ის ნიჰილისტური განწყობებიც აქედან არის ნაკარნახევი.

***– პოლიტიკურ სახეებს აქვს მნიშვნელობა?***

– დიდი არაფერი. „ოცნების“ სახეები ვნახეთ, მაგრამ ბევრს არაფერს იძლევა. ვნახოთ.

***– ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოება, რომელიც გაბრაზებულია ყველა პოლიტიკურ ძალაზე, არჩევნების შემდეგ შეიძლება ხელისუფლებისთვის თავის ტკივილად იქცეს?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ აქ პასუხისმგებლობა მოდის როგორც ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზე. მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა შეძლოს, რომ ეს ამომრჩეველი მიიყვანოს საარჩევნო ყუთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველას თავის ტკივილი იქნება.

# „ქართული ოცნება“ 32%, ნაციონალური მოძრაობა — 26%

შორენა მარსაგიშვილი

**ზაფხულის სიცხით გათანგული ერი ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა მორიგი კვლევებით გამოაცოცხლა.**

ენდიაის გამოკითხვების მიხედვით, კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას, „ქართულ ოცნებას“ 17% აქვს. გამოკითხულთა 13% ხმას ნაციონალურ მოძრაობას მისცემდა, „ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის“ მხარს 4% უჭერს, პატრიოტთა ალიანსს კი – 3%.

გამოკითხულთა 32% იმ ამომრჩევლებიდან, რომლებიც არჩევნებზე წასვლას გეგმავენ და გადაწყვეტილი აქვთ, ვის დაუჭერს მხარს, ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, ხოლო 26% – ნაციონალურ მოძრაობას.

შედეგებით შეცბუნებული ჩანდა ენდიაის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლარა თორნტონი. მისი თქმით, ამ შედეგებმა პარტიები უნდა გამოაფხიზლოს.

– თითოეული პარტიის რეიტინგი იმდენად დაბალია, რომ მომავალი არჩევნების შედეგების გამოსაცნობად არ გამოდგება. ამომრჩევლის 67% ხმის მიცემას გეგმავს, 57%-ის არჩევანი კი გადაუწყვეტელია; ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გამოკითხვისა და არჩევნების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება, რადგან არჩევნების ბედი გადაუწყვეტელი ამომრჩევლების ქცევაზე იქნება დამოკიდებული, – განაცხადა ლორა თორნტონმა.

გამოკითხვა 2016 წლის 8 ივნისიდან 6 ივლისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 4.113 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა.

* * *

როგორც წინა კვლევებისას, პარტიებმა ამჯერადაც დიდი წიოკი ატეხეს. ყველაზე მეტად დემოკრატიულ მოძრაობაში გამწარდნენ. თან ისე გამწარდნენ, რომ ბურჯანაძე ხმამაღლა ნატრობდა, ნეტა კაცი ვიყო და თანაც კახელიო.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ადეკვატური კომენტარი ამ კვლევებთან დაკავშირებით ძნელი გასაკეთებელია. მისი პარტიის უშედეგობას კი იმით ხსნის, რომ ვიღაცას დემოკრატიული მოძრაობის ინიციატივა ცუდად მოხვდა გულზე.



**ნინო ბურჯანაძე: „პირველად დამწყდა გული, რომ არ ვარ კაცი და თან კახელი“**

– პირველად დამწყდა გული, რომ არ ვარ კაცი და თან კახელი, ხოლო რაც შეეხება სხვა შეფასებას, ერთი შემიძლია ვთქვა, რომ, როგორც ჩანს, ძალიან გულზე მოხვდათ საქართველოს უბლოკო სტატუსი, რაც არის საქართველოს რეალური გამთლიანებისა და ეკონომიკური წარმატების რეალური საფუძველი. ერთი რამ ფაქტია, ორი დღის წინ იყო გამოქვეყნებული, რომ ქვეყანაში საკმაოდ სერიოზულია რაოდენობა იმ ადამიანებისა, ვისაც უნდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. ამ ფონზე ის განცხადებები, რომლებიც გაკეთდა დღეს, ის კომენტარები და ციფრები, რომლებიც გამოქვეყნდა, იმსახურებს იმ კომენტარს, რომელსაც მე ადეკვატურად ვერ გავაკეთებ, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, დემოკრატიულ მოძრაობას ინტენსიური კამპანია ჯერ დაწყებული არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ყველგან მუშაობს. მისი პარტიის აქტივობები არ შუქდება ინტენსივობით გარკვეული ტელევიზიების მხრიდან.

მართალია, გამოკითხვაში პირველ ადგილზეა, მაგრამ „„ქართული ოცნებაც“ უკმაყოფილოა. პარტიის სახელით ენდიაის ქოქოლა ეკა ბესელიამ დააყარა.

ბესელია იმ 60%-ზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც არ აკონკრეტებს, რომელ პოლიტიკურ ძალას უჭერს მხარს.

– არჩევნების დღეს იქნება სხვა რეალობა. იმიტომ, რომ კვლევაში ჩანს, მოსახლეობის 60%-მდე არ აკონკრეტებს, ვის მისცემდა ხმას. შესაბამისად, პარტიის რეიტინგებზე ამ კვლევის მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ. თუმცა ტენდენციები მნიშვნელოვანია ჩემთვის, რომ უმრავლესობა აპირებს არჩევნებზე მისვლას. გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ ვისაც 2012-ში მისცა ხმა, ისევ იმ პოლიტიკურ პარტიას მისცემდა 2016 წელსაც ხმას, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

კვლევის შედეგებით აღშფოთებულია შალვა ნათელაშვილიც. მან ენდიაის საქართველოს დამაქცევარი უწოდა და მისი დახურვა მოითხოვა.

– საქართველოს დაღუპვაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ამ ორგანიზაციას. მე უკვე იძულებული ვარ, მივმართო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას, დახურონ ეს ორგანიზაცია საქართველოში, რადგან ამერიკას სახელს და ავტორიტეტს უტეხს სწორედ ამგვარი ორგანიზაციები, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

თამაზ მეჭიაურს კვლევის შედეგები გაყალბებულად მიაჩნია. ის ცოტა ხნის წინ, საკუთარ კვლევებზე დაყრდნობით, ამტკიცებდა, რომ „ოცნებასთან“ ერთად არჩევნებზე პირველ-მეორე ადგილებს გაიყოფდა.

– ეს კვლევა არის ნაციონალური მოძრაობის დაკვეთა, რომელიც ასევე აწყობს „ქართულ ოცნებას“, – ამბობს მეჭიაური.

სხვა პარტიებისგან განსხვავებით, კვლევის შედეგებით კმაყოფილია ნაციონალური მოძრაობა.

– ახალი კვლევების მიხედვით, ორი ლიდერი პარტია კიდევ უფრო გამოიკვეთა და მთავარი ბრძოლაც ოქტომბერში „ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის გაიმართება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩევლის კრისტალიზაცია დაიწყო. ქოცების ამომრჩეველი ქოცებისკენ წავიდა და ალასანიათი კეკლუცობას თავი დაანება, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.



**ნუგზარ წიკლაური: „გაიმარჯვებს ის, ვინც იაქტიურებს“**

მისი თქმით, მოიგებს ის, ვინც იაქტიურებს, ბრძოლას გაუმართავს მთავრობას, შეინარჩუნებს პრინციპების ერთგულებას და დაარწმუნებს ამომრჩეველს მისი პარტიის გამარჯვებაში.

– მთავრობისთვის კომფორტულია ხელოვნური სიმშვიდე, როდესაც ადმინისტრაციული რესურსის უპრობლემოდ გამოყენების და ფალსიფიკაციის შანსი იზრდება. ჩვენთვის კი დამღუპველია დუნე საარჩევნო კამპანია, – აღნიშნა ბ-მა წიკლაურმა.

მისი თანაპარტიელი სალომე სამადაშვილი იმითაა კმაყოფილი, რომ მისი პარტია მთავარ ოპოზიციურ ძალად შეირაცხა.

– ეს კვლევა აჩვენებს, რომ ნაციონალური მოძრაობა არის მთავარი ოპოზიციური ძალა ქვეყანაში, ამავე დროს, არის ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს კონკრეტული, კარგად გაწერილი, მოფიქრებული და დამუშავებული პროგრამა, – განუცხადა ჟურნალისტებს სალომე სამადაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „კვირიკაშვილი და მარგველაშვილი კალაძის „მოტეხვაზე“ შეთანხმდნენ“

## ლადო სადღობელაშვილი: „ნაციონალების და „ოცნების“ საარჩევნო სია იან კელიმ დაწერა“

შორენა მარსაგიშვილი

**ვინ არიან „ქართული ოცნების" დამატებითი კანდიდატები, ვინ ასრულებს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის შუამავლის ფუნქციას, რატომ გაჭირდა თინა ხიდაშელის შემცვლელის პოვნა, რას უჩალიჩებენ კახა კალაძეს? – ამ თემებზე „ახალ თაობას" არასამთავრობო ორგანიზაცია თავისუფალი თაობის ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**

**ლადო სადღობელაშვილი:**

– ქვეყანაში ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო საინტერესო გახდება. „ქართული ოცნების“ საარჩევნო სია ამერიკის ელჩმა იან კელიმ შეადგინა. იმავე კელიმ შეარჩია მაჟორიტარები. ეს კასტინგი მიმდინარე წლის 27 ივლისს გაიმართა მთავრობის ადმინისტრაციის შენობაში.

მთავრობის ადმინისტრაციაში ბევრი ჩემი მეგობარი მუშაობს. მათგან მაქვს ინფორმაცია, რომ იან კელი იქ საღამოს მივიდა და ღამის 3 საათამდე დარჩა. მთელი კანცელარია ფეხზე იდგა. კელი კვირიკაშვილის კაბინეტში იყო შეკეტილი და გულდასმით არჩევდა იმ ხალხს, რომლებსაც „ოცნება“ სიაში ჩასმას უპირებს. ამ შეხვედრას ვიცე-პრემიერი კახა კალაძეც ესწრებოდა.

რამდენადაც ჩემთვის გახდა ცნობილი, ამერიკის ელჩმა ბევრი კანდიდატი დაიწუნა. იგივე მოხდა მაჟორიტარებთან დაკავშირებით.

***– რა კატეგორიის ხალხი დაიწუნა აშშ-ს ელჩმა?***

– ისეთი ხალხი დაიწუნა, რომლებიც არ იქნებიან ამერიკის მონები და მის დავალებებს უსიტყვოდ არ შეასრულებენ. შესაბამისად, სიაში მრავლად ვიხილავთ გაურკვეველი წარმომავლობის ხალხს. დაახლოებით ისეთებს, გაშლილ სუფრაზე რომ მიდიან და მის დასრულებამდე ტოვებენ იქაურობას. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს დიდი იმედგაცრუება ელოდება.

აშშ-ს ელჩის მიერ ნაკურთხი სია 28 ივლისს პოლიტსაბჭოს სხდომაზე განიხილეს. იქვე მოხდა მაჟორიტარების შეცვლა.



***– გამოდის, რომ გოდერძი ბუკია და კობა ნარჩემაშვილი იან კელის ფავორიტები არიან?***

– მაჟორიტარების შემთხვევაში იან კელიმ მხოლოდ თბილისი შეითანხმა. რეგიონებში კი თავისუფლად მოქმედების უფლება მისცა „ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც.

***– ნაციონალებსაც კელიმ შეურჩია მაჟორიტარობის კანდიდატები?***

– არა მარტო მაჟორიტარობის კანდიდატები. ელჩთან შეთანხმდა ნაცმოძრაობის პარტიული სიაც. ძალიან საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქ-

### „ქართულ ოცნებას“ 40%-ზე მეტის აღება არ შეუძლია არჩევნებზე“

მე. გვინდა თუ არ გვინდა, ნაციონალები და „ქართული ოცნება“ მთავარ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ. პარლამენტში ყველაზე მეტ ხალხს ისინი გაიყვანენ და ორივე მათგანს უცხო ქვეყანა აკონტროლებს.

წინ ქოცების გინების ორი ტალღა გველოდება, შიდა პარტიულ დონეზე პირველი ის კატეგორია შეიგინება, ვინც თავის თავს სიაში ვერ აღმოაჩენს, გინების მეორე ტალღა მაშინ წამოვა, როდესაც ზოგიერთები მიხვდებიან, რომ მხოლოდ სიის პირველი 25-30 კაცი იქნება გამსვლელი.

***– „ქართული ოცნება“ სიით მხოლოდ 25-30 კაცს გაიყვანს?***

– ყველა კვლევა ამაზე მიუთითებს. ამის დასტურია ენდიაის ბოლო კვლევაც.

***– ენდიაის კვლევებს ეგენი არ ენდობიან.***

– არც მე ვენდობი, მაგრამ სხვა კვლევებიც ჩატარდა და უკვე მჯერა, რომ „ქართულ ოცნებას“ 40%-ზე მეტის აღება არ შეუძლია არჩევნებზე. სიით 30 კაცზე მეტს ვერ გაიყვანენ. შესაბამისად, ძალიან გამწარდებიან ის ადამიანები, რომლებიც სიაში 30-ის ქვევით იქნებიან.

***– სიის ფორმირებაში ბიძინა ივანიშვილი აღარ მონაწილეობს?***

– ივანიშვილი გაერიდა „ქართულ ოცნებას“. ამ დღეებში მისმა თანაკურსელმა თამაზ მეჭიაურმაც განაცხადა, რომ ივანიშვილმა შეწყვიტა ამ პარტიის დაფინანსება. მე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ვამბობდი, რომ ეს ასე მოხდებოდა. ივანიშვილს, ეტყობა, მობეზრდა ამდენი მოღალატის შენახვა.

***– ამბობენ, ივანიშვილი საარჩევნო კამპანიაში სექტემბრიდან ჩაერთვებაო.***

– მაისის თვეში ამბობდნენ, რომ ივანიშვილი ივნისიდან ჩაერთვებოდა. ამის შესახებ მან თავის ეპისტოლეშიც დაწერა. ამბობდა, ძალიან აქტიური ვიქნებიო. ახლა აღარ სურს აქტიურობა.

ამიტომაც არის, რომ „ოცნებამ“ ფულიანი ხალხის მოძებნა დაიწყო და ბიზნესმენების დახმარებით აპირებენ საარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. მაჟორიტარებთან დაკავშირებით გიორგი კვირიკაშვილმა საინტერესო სქემა მოიფიქრა. ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ მმართველი ძალა ვერც მაჟორიტარულ არჩევნებს მოიგებს.

მათ ჩატარებული აქვთ შიდა კვლევები და კარგად იციან, რომ საარჩევნო ოლქების უმეტეს ნაწილში მეორე ტური დაინიშნება. მეორე ტურში „ოცნების“ გამარჯვება გამორიცხულია. იმისთვის, რომ კრახი აიცილონ, მოიფიქრეს გეგმა და გამოიყვანეს დამატებითი კანდიდატები. მაჟორიტარულ ოლქებში სწორედ მათი დახმარებით შეეცდებიან არჩევნების მოგებას.

***– რას ნიშნავს ეს დამატებითი კანდიდატები ან როგორ უნდა მოიგოს „ოცნებამ“ მათი დახმარებით არჩევნები?***

– ამ სქემას ცეზარ ჩოჩელის მაგალითზე გაგიშიფრავთ. ჩოჩელი მცხეთაში აპირებს კენჭისყრას, როგორც დამოუკიდებელი მაჟორიტარი. სინამდვილეში, ის „ქართული ოცნების“ კანდიდატი იქნება. მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში ერთმანეთს ის და ქოცების კანდიდატი შეხვდებიან. ორივე შემთხვევაში გამარჯვება „ოცნებას“ დარჩება – პარლამენტში მისი კაცი შევა.

იგივეს თქმა შემიძლია სალომე ზურაბიშვილზეც. ამ ქალის მიმართ პრეტენზია არ მაქვს და ძალიანაც მიხარია, რომ არჩევნებში მონაწილეობს. ზურაბიშვილი არ მალავს „ოცნების“ მიმართ თავის სიმპათიებს. ამ დროს დამოუკიდებლად აპირებს კენჭისყრას. მასთან დაკავშირებით „ოცნებამ“ ოდნავ შეცვალა სქემა და გადაწყვიტეს, მთაწმინდაზე კანდიდატი არ დააყენონ. ამის შესახებ განცხადება გია ვოლსკიმ გააკეთა.

ასეთი დამატებითი კანდიდატები სხვა რაიონებშიც ეყოლებათ. განსაკუთრებულ აქცენტს გაუსვრელ სახეებსა და ბიზნესმენებზე აკეთებენ. ბიზნესმენებთან „ქართული ოცნების“ პოლიტიკა ძალიან წააგავს ნაციონალების სქემას.



***– რას გულისხმობთ?***

– ნაციონალებმაც ასე დაიწყეს, ეძებდნენ ბიზნესმენებს, რომლებიც საკუთარ თავსაც დააფინანსებდნენ და ხელისუფლებასაც. ისინიც იხდიდნენ ფულს. მერე ეს ფული საკმარისი აღარ იყო და სააკაშვილმა ციხეში ჩაყარა. თავისუფლება ამ ხალხმა რამდენიმე მილიონად იყიდა.

***– ფიქრობთ, რომ ესენიც ასე მოიქცევიან?***

– ამ არჩევნებში ქოცები თუ უმრავლესობით მოვიდნენ, აუცილებლად დაატერორებენ ბიზნესს. ხალხს ქუჩაში არ დახოცავენ და არც პატიმრებს გააუპატიურებენ, მაგრამ ბიზნესმენებს ფულს ნამდვილად მიატანინებენ. ივანიშვილი ამათ ფულს აღარ აძლევს და დამფინანსებელი სხვანაირად როგორ იშოვონ? ან სად სცალიათ ამისთვის, ინტრიგების ხლართვით არიან გართული. გიორგი კვირიკაშვილის პრემიერად დანიშვნას ყველა სიხარულით შეხვდა. ამბობდნენ, როგორი მშვიდი და გაწონასწორებული კადრიაო. ეს გაწონასწორებული კადრი კარგად ხლართავს ინტრიგებს.

***– რა ინტრიგებს ხლართავს ან ვისთან ერთად?***

– ინტრიგებს ის გიორგი მარგველაშვილთან ერთად ქსოვს. მათ შორის ხიდი კი პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძეა, რომელიც წლების მანძილზე კვირიკაშვილთან ერთად ერთი საპარლამენტო ფრაქციის, მემარჯვენეების, წევრი იყო.

მას შემდეგ, რაც პრემიერად დაინიშნა, კვირიკაშვილი ძალიან დაუტკბა პრეზიდენტს. ახლა ისინი ერთობლივი ძალებით ცდილობენ კალაძის „მოტეხვას“.

***– რაში გამოიხატება კალაძის „მოტეხვა“?***

– კორცხელში მომხდარი ინციდენტი ჩემთვისაც მიუღებელია, მაგრამ კალაძეზე ხელების შეწმენდაც არ არის მისასალმებელი. ბოლო დღეებში პრეზიდენტმა დაიჟინა, გინდა თუ არა ეს ინციდენტი გამოიძიეთ და გაარკვიეთ, რა კავშირშია მასთან კალაძეო. გიორგი კვირიკაშვილი კი თავის მხრივ ბოდიშს იხდის ამ ინციდენტის გამო და არსად ამბობს, რა შუაშია კალაძეო.

***– არც იმას ამბობს, რომ რაიმე შუაშია.***

– არც ამას ამბობს, მაგრამ ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომ კალაძის ჩახსნა სურს. აქამდე საქართველოს 2 ვიცე-პრემიერი ჰყავდა – კახა კალაძე და დიმიტრი ქუმსიშვილი. ცოტა ხნის წინ პრემიერმა ქუმსიშვილი პირველ ვიცე-პრემიერად აკურთხა და ამას საგანგებოდ გაუსვა ხაზი. ამით მან მინისტრებს მიანიშნა, რომ კალაძე აღარაფერს წარმოადგენს.

***– ვითომ მართლა არაფერს აღარ წარმოადგენს?***

– აღარ წარმოადგენს. ენერგეტიკის მინისტრი რეალურად ის ნაცი ქალი მარიამ ვალიშვილია, რომელიც ახლა მინისტრის მოადგილის პოზიციაზე მუშაობს. კორცხელის ინციდენტის გამო საარჩევნო შტაბიდანაც ჩამოაცილებენ.

***– კალაძე ვერ ხვდება, რომ მისი ჩაჩოჩება ხდება?***

– კი არ ხდება, მოხდა უკვე. მან ეს ძალიან კარგად იცის, მაგრამ არ ტოვებს „ოცნებას“, რადგან თავისი ბიზნესი აქვს „დასაკრიში“. მისი საბოლოო ჩამოშორება არც ხელისუფლებას უნდა, ის დავარცხნილი ფეისია, რომელიც საზოგადოების ნაწილს ჯერ ისევ მოსწონს.

***– ისე, რა უცნაურია, თქვენ კალაძის დაცვა რომ დაიწყეთ!***

– მე მას არ ვიცავ. მე გიორგი კვირიკაშვილის ქმედებებს ვაპროტესტებ, რომელიც მარგველაშვილთან არის შეკრული. რომელიც, თავის მხრივ, ნაცების წისქვილზე ასხამს წყალს.

ზევით სიის შედგენაში ამერიკის ელჩის თანამონაწილეობაზე ვისაუბრე. ეს კაცი თავდაცვის ახალ მინისტრსაც გვირჩევს. ხიდაშელი რომ აგვისტოში მიდიოდა, ეს ერთი თვის წინ იცოდა ყველამ და რით ვერ მოუძებნეს შემცვლელი?! აშკარაა, რომ კელიმ ვერ მონახა სათანადო კანდიდატურა.

---

# მოწმეებმა ვახტანგ რჩეულიშვილის დაპატიმრება მოითხოვეს

## რუსუდან კერვალიშვილი: „დაჭერა არ არის გამოსავალი“



თბილისის საქალაქო სასამართლოში „ამხანაგობა 88“-ის ეპიზოდზე „ცენტრ-პოინტის“ საქმის განხილვა გაიმართა.

პროცესზე დაიკითხა ბრალდების მხარის 5 მოწმე. მოწმეებმა ისაუბრეს მათ ზარალზე, რომელიც დაუმთავრებელი კორპუსის აშენებით მიადგათ.

მათი განცხადებით, გარდა ბინებისთვის და კომერციული ფართებისთვის განკუთვნილი თანხებისა, მათ ასევე დამატებით მოუწიათ სადარბაზოს მოპირკეთების თანხების გაწევა სხვადასხვა დაპირების სანაცვლოდ, თუმცა, ეს დაპირებები „ცენტრ-პოინტის“ ხელმძღვანელებისგან სხვა დაპირებების მსგავსად შეუსრულებელი დარჩა.

პროცესის დასრულების შემდეგ ბრალდების მხარის წარმომადგენელმა ლასა კოტრიკაძემ განაცხადა, რომ მოწმეებმა დაადასტურეს, რომ „ცენტრ-პოინტის“ ჯგუფის ხელმძღვანელობამ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

– დაიკითხნენ ბრალდების მოწმეები. მათ დააფიქსირეს, რომ მათი მხრიდან სრულად შესრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და „ცენტრ-პოინტ“ ჯგუფის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად მიადგათ ზიანი, – განაცხადა კოტრიკაძემ.

ადვოკატ მარი ცუცქირიძის თქმით კი, გამოიკვეთა, რომ პროცესები არის მართული და ამას ადასტურებს დაზარალებულის მხრიდან მოთხოვნა ვახტანგ რჩეულიშვილის დაკავების შესახებ, რომელიც აქამდე არ გაჟღერებულა.

– სამწუხაროა, რომ პროცესები არის მართული, სავარაუდოდ ხელისუფლების მხრიდან. დღემდე დაიკითხა 70 მოწმე და არც ერთ მოწმეს არ გაუჟღერებია სასამართლო პროცესზე ვახტანგ რჩეულიშვილის ან სხვა პირების დაკავების საკითხი.

5 მოწმე დაიკითხა, ყველა მოწმე ამბობდა ერთი და იმავეს, რომ ვახტანგ რჩეულიშვილს შეეფარდოს პატიმრობა. ეს არის მართული პროცესი და აგრესია გადავიდა ვახტანგ რჩეულიშვილზე, – განაცხადა მარი ცუცქირიძემ.

ამ ეპიზოდში ბრალდებულის, რუსუდან კერვალიშვილის განცხადებით კი პროკურატურა პროცესში მონაწილეებს არწმუნებს, რომ გამოსავალი არის დაკავება, თუმცა გამოსავალი სხვა რამეა.

– დაზარალებულების ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც ფიქრობს, რომ დაზარალებულია, გამართლებულია თავისთავად. ის მოთხოვნები, რასაც დაზარალებულები აყენებენ, ნებისმიერ შემთხვევაში გასათვალისწინებელია.

პროკურატურა იმაზე მეტს აფიქრებინებს მათ, ვიდრე შეიძლება რეალურად მიიღონ. არ მიმაჩნია, რომ ეს შედეგის მომტანი იქნება.

პროკურატურა აძლევს იმედს მხოლოდ დაჭერის, რაც არ არის შედეგის მომტანი, – განაცხადა კერვალიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სანდრო ბრეგაძე: „ენდიაის კვლევები სასაცილოდაც კი არ მყოფნის“

## „ამერიკის ელჩი ხელისუფლების საქმეებში უხეშად ერევა“

ნონა ცაბაძე

**ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მოძრაობა ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე აფასებს.**

***— ბატონო სანდრო, ორიოდე დღის წინ თქვენ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს შორის დაპირისპირება მოხდა. ამის გამო პოლიციაშიც იყავით დაბარებული. რა მოხდა?***

— მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ოდესმე თავს მოიწონებს იმით, რომ ვიღაცას მოერია. აქედან გამომდინარე, საერთოდ არ ვაპირებ ამ თემაზე საუბარს, თუმცა ერთ რამეს აღვნიშნავ — მართლაც სამარცხვინო იყო, როდესაც ბატონ დავით ფაცაციას მიაყენა ამ პიროვნებამ შეურაცხყოფა და შემდგომში ის და მისი მეგობრები სოციალურ ქსელში თავს იწონებდნენ.

***— ახლოვდება არჩევნები, გამოქვეყნდა ენდიაის ახალი კვლევები და ამ კვლევებში თქვენი ანუ თამაზ მეჭიაურის პარტია ნახსენებიც კი არ არის. რამდენად ენდობით ამ კვლევებს?***

— ენდიაი ანუ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე დისკრედიტებული ორგანიზაცია და ეს ორგანიზაცია წლების განმავლობაში უსირცხვილოდ ცრუობს, როდესაც აცხადებს რეიტინგებს. ეს ე.წ. უცხოური არასამთავრობოები ხშირ შემთხვევაში საქართველოში არიან თავიანთი პირადი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჩამოსული და არა იმისთვის, რომ საქართველოს რაიმეთი დაეხმარონ.

***— ანუ მათ კვლევებს არ ენდობით?***

— ენდიაის კვლევას არათუ ნდობას არ ვუცხადებ, სასაცილოდაც კი არ მყოფნის. თავისუფლების ინსტიტუტი და გიგა ბოკერია ბევრად უფრო ობიექტური იქნება შეფასებებში, ვიდრე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი. ენდიაი პირდაპირ გახლავთ ბოკერიასა და მისი ამფსონების ნება-სურვილის შემსრულებელი და ნაციონალური მოძრაობის იდეების გამხმოვანებელი. ეს არ გახლავთ სოციოლოგიური კვლევა. ეს არის ნაციონალური მოძრაობისა და უცხოური ძალების სურვილი, თუ როგორი შედეგით სურთ მათ არჩევნების დამთავრება.



***— კითხვაზე, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას, გამოკითხულთა 13% ასახელებს ნაციონალურ მოძრაობას. თუკი პროცესს ნაციონალური მოძრაობა მართავს, უფრო მაღალ პროცენტებს რატომ არ იწერენ?***

— ეს არის პოლიტტექნოლოგიები, რითაც ადამიანები სარგებლობენ. ეს ყველაფერი განსაზღვრულია იმისთვის, რომ შექმნან ილუზია, თითქოს მოსახლეობაში არის საყოველთაო ნიჰილიზმი, ხოლო ნაციონალური მოძრაობა გახლავთ მეორე პოლიტიკური ცენტრი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ეს მარტივი გათვლაა.

ჩვენ საქვეყნოდ უნდა განვაცხადოთ, რომ ვერც ენდიაი გვმართავს, ვერც რომელიმე უცხო ქვეყნის საელჩო, ვერც ელჩი და ვერც ვერავინ. საქართველო უნდა მართოს საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ.

***— და ასე არ არის? აბა, ვინ მართავს?***

— ასე არ არის. სამარცხვინოა, როდესაც უცხო ქვეყნის ელჩები უხეშად ერევიან საქართველოს საშინაო საქმეებში. ისინი ზოგიერთი პარტიის საპარლამენტო სიებს წერენ, უხეშად ერევიან ხელისუფლების საქმიანობაში.

***— კონკრეტულად?***

— ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ყოფილა არაერთი შემთხვევა, როდესაც აშშ-ის ელჩი, ბატონი ნორლანდი, უხეშად ჩარეულა საქართველოს ხელისუფლების შიდა საქმეებში. ეს არის საყოველთაოდ მიუღებელი და ნეგატიურად მოქმედებს საქართველოს განვითარებასა და საქართველოს ხელისუფლების მოქმედებებზე.

არ შეიძლება, უცხო ქვეყნის ელჩმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება მინისტრი, ვინ იქნება საპარლამენტო სიაში, ვინ იქნება საგარეჯოში მაჟორიტარი თუ სხვაგან. ჩვენ გვექცევიან, როგორც ბანანის რესპუბლიკის ქვეყნებს!

***— ვინ იქნება მინისტრი, ამას ამერიკის ელჩი წყვეტს?***

— ყველაფერში ერევა ელჩი და ეს ყველამ იცის. ვინ უნდა მოხსნან, ვინ უნდა დანიშნონ — ამ ყველაფერში ერევა ელჩი! ვინ უნდა გავიდეს არჩევნებში, ვინ უნდა გადალახოს ბარიერი და ეს არის დემოკრატია?! ეს არის დასავლური ცივილიზაცია?! ეს არის თავისუფლება?!

რა მნიშვნელობა აქვს, ვისი მონა იქნები, მონა მონაა! ჩვენი ქვეყანა ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა მართონ. არცერთი ქვეყნის ელჩს არა აქვს უფლება, გვასწავლოს, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ! ცოტა ხანში შესაძლოა მოგვიწიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება, რომ უცხო ქვეყნებმა ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევას თავი დაანებონ.

***— მინისტრთა კაბინეტში ორი ვაკანტური ადგილია. რესპუბლიკელმა მინისტრებმა დატოვეს პოსტები. თქვენ ამტკიცებთ, რომ თავდაცვის მინისტრს ამერიკის ელჩი დანიშნავს?***

— ასე იქნება. საქართველოს, მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელი დაინიშნა, თავდაცვის მინისტრი არ ჰყოლია. ამდენი ხნის განმავლობაში თავდაცვის მინისტრის გარეშე ვცხოვრობდით.

ტელეეკრანებთან მოტკარცალე, არასერიოზული განცხადებებით გაჯერებული, სკამზე შეყვარებული და საკუთარი ბედნიერებით თვითკმაყოფილი თინათინ ხიდაშელი, რა თქმა უნდა, არასოდეს ყოფილა და არც იქნება თავდაცვის მინისტრი. ის, უბრალოდ, ნომინალურად იდო იქ. როდესაც თურქეთში დაიწყო ცნობილი მოვლენები, იყო საშიშროება, რომ თურქეთი გახვეულიყო სამოქალაქო ომის ქარცეცხლში და ეს ჩვენს საზღვრებსაც გადმოედებოდა, მაშინ დავინახე ყველაზე ნათლად, თუ რა უბედურია ქართველი ერი.

***— რატომ არის უბედური?***

— უბედურია, აბა რა არის, როდესაც უმაღლეს მთავარსარდლად ჰყავს კომიკური ფიგურა — მარგველაშვილი, ხოლო თავდაცვის მინისტრად — თინა ხიდაშელი! რამე რომ მომხდარიყო, ვის იმედზე უნდა ვყოფილიყავით?! მარგველაშვილისა და ხიდაშელის?! ადამიანების, რომლებსაც ბაგა-ბაღის მომვლელის სტატუსსაც კი ვერ მივცემდი.

დღეს ნათელია, რომ თავდაცვის მინისტრს არ ნიშნავს არც პრემიერ-მინისტრი, არც პარლამენტი. მას ნიშნავენ ქვეყნის ფარგლებს გარედან.

***— დიდი უკმაყოფილებაა საზოგადოებაში, რომ „ოცნების“ სია ივსება პორტირებული ნაციონალებით. ამაზე რას იტყვით?***

— ეს სიაც თანხმდება საქართველოს არაფორმალურ მმართველთან, ოღონდ ეს არაფორმალური მმართველი არ არის ბიძინა ივანიშვილი! ეს არაფორმალური მმართველები არიან საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ნაციონალები ვიხილოთ „ოცნების“ საარჩევნო სიაში.

***— მაშინ რა არის ივანიშვილის როლი ამ პროცესებში, თუკი ის პროცესებს ვერ მართავს?***

— მე ბედნიერი ადამიანი ვიქნებოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი მართლაც წყვეტდეს ყველაფერს ამ ქვეყანაში! სამწუხაროდ, ასე არ არის. ტყუილად აბრალებენ ივანიშვილს, რომ ის ფარულად და უხეშად ერევა მთავრობის საქმიანობაში. შიგნით ყველამ იცის, რომ საქართველოს მმართველობა ხელთ უპყრიათ უცხო ქვეყნებს. ეს სამწუხარო რეალობაა!

# მამუკა გიორგაძე: „საქართველოს ამომრჩეველი არ მონაწილეობს ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში“

## „პარლამენტში გავლენებისთვის მებრძოლები კი არა, ქვეყანაზე მზრუნველი ადამიანები უნდა იყვნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

**წინასაარჩევნოდ შექმნილ სიტუაციაზე „ახალი თაობა" სახალხო პარტიის ლიდერ მამუკა გიორგაძეს ესაუბრა.**

***— ენდიაის ამერიკელი წარმომადგენელი საქართველოში აცხადებს, რომ საქართველოს ამომრჩეველს არ აინტერესებს არჩევნებში მონაწილე პარტიების იდეოლოგია. ადამიანებისათვის უმთავრესია დასაქმება, ინფლაციის პრობლემა, პენსიები და სხვა. მართლა ასეთი მდგომარეობაა?***

— ეს ის შემთხვევაა, როცა ენდიაის უნდა დავეთანხმოთ. სამწუხაროდ, ეს რეალობაა. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებასაც ეტყობა, რომ პოლიტიკური პროცესები არ მიდის, რომ არაა შექმნილი პოლიტიკური ინფრასტრუქტურა. ამაში ვგულისხმობ ყველანაირად ჩამოყალიბებულ პარტიებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს.

სხვა სახელმწიფოებში, მაგალითად, აშშ-ში აშკარად იგრძნობა, რომ პარტიები ერთმანეთისაგან იდეოლოგიურად განსხვავდებიან და იქაური ამომრჩეველიც აქცევს ყურადღებას ამა თუ იმ ღირებულებას. ბევრ ქვეყანაში მემარცხენეებს მემარჯვენეები ცვლიან, და ასე შემდეგ. არჩევანს საზოგადოება აკეთებს.

***— ჩვენში საზოგადოება არ აკეთებს არჩევანს?***

— საქართველოს ამომრჩეველი, ფაქტობრივად, არ მონაწილეობს ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. ჩვენთან ძალაუფლებისთვის მებრძოლი პიროვნებები და ორგანიზაციები მოდიან სათავეში. ხალხი არჩევანს არ აკეთებს ფასეულობების საფუძველზე.

ჩვენ არაფერი ვიცით „ქართული ოცნების“ პრინციპებზე. ყურადღებას ვაქცევთ მარტო იმას, რომ რომელიმე კანდიდატი ადრე ნაციონალურ მოძრაობაში იყო, ახლა კი „ოცნებაშია“. ვიღაცისთვის ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი ხედვები და იდეოლოგიაა, რასაც ყურადღება არ ექცევა.

***— საქართველოს მრავალფეროვან პოლიტიკურ სპექტრში ისეთი პარტიებიც ხომ არიან, რომლებსაც ჩამოყალიბებული ხედვები აქვთ? ისინი ამომრჩეველს ვერაფერს სთავაზობენ?***

— ასეთი პარტიები, ბუნებრივია, არიან. ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმულ პარტიებს იდეოლოგია და ხედვები თავიდანვე გვქონდა. პოლიტიკოსები ერთმანეთთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით, მაგრამ სხვადასხვა თემაზე ერთმანეთთან ბევრჯერ გვიკამათია. საბოლოო ჯამში, საქართველოში პოლიტიკური ბაზარი არ არის. პოლიტიკური სუბიექტები არ სთავაზობენ მოსახლეობას პრინციპებს.

***— შეიძლება პოლიტიკური ბაზარი არ იყოს იმ ქვეყანაში, სადაც უამრავი პარტიაა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი პოლიტიზებულია?***

— ხალხი ერთი შეხედვითაა პოლიტიზებული. ითვლება, რომ პოლიტიკა ბევრს აინტერესებს. სინამდვილეში, წლების განმავლობაში ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ადამიანების დეპოლიტიზება მოეხდინათ. პოლიტიკური ცხოვრება არ ჩქეფს. ლიდერები და პარტიები თუ ბლოკები იბრძოდნენ ძალაუფლებისა და გავლენებისთვის. ნამდვილი პოლიტიკური პროცესები არ მიმდინარეობდა.

***— ადამიანები კი უფრო ღატაკდებოდნენ და ესეც აისახებოდა პროცესებზე?***

— ამომრჩევლები გეგმაზომიერად ჩამოაცილეს საქართველოს ბედის გადაწყვეტას. ისინი იძულებული გახადეს, არსებობისთვის ებრძოლათ. ასეთი ხალხის მართვა ადვილია. „ოცნება“ რომ უარს ამბობს თავისი პრინციპების დასახელებაზე, ესეც ხალხის გაბიაბურების ერთ-ერთი საშუალებაა. ამით პასუხისმგებლობასაც გაურბის. პოლიტიკაში მოდიან ძალაუფლებისა და საკუთარი კეთილდღეობისთვის მებრძოლები.

***— „ოცნება“ ამომრჩეველს ახალ სახეებს სთავაზობს.***

— მერედა, რომელმა მათგანმა წარმოადგინა ხედვები? რომელიმე შეეხო ტერიტორიულ მთლიანობას? არადა, უამრავი გასარკვევი პრობლემა გვაქვს. თუნდაც, ცხინვალის რეგიონის ე.წ. სამხრეთ ოსეთად დარქმევის, აფხაზეთის საკითხები.

***— ბოლო დროს რეგიონში კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება.***

— დიახ. ამის გამო საქართველო შედის ახალ ფაზაში. ესაა დასავლეთ-აღმოსავლეთის დაპირისპირება. ამიტომ, უნდა აგვიხსნან იმათ, ვინც ნატოშიც მიისწრაფვის და რუსეთთანაც უნდა ნორმალური ურთიერთობა, რანაირად უნდა შეუთავსდნენ ერთმანეთს ნატო და რუსეთი?

ნატოს კრეისერები უკვე შავ ზღვაშია. დასავლეთისა და რუსეთის კონფლიქტი ძლიერდება. საქართველო შეიძლება იქცეს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირების ტერიტორიად. თურქეთშიც სერიოზული მოვლენები განვითარდა. თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ამ ფონზე ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდნენ თურქეთში მცხოვრები თანამემამულეები. კიდევ ბევრი სასიცოცხლო საკითხია გადასაწყვეტი და განსახილველი. მაგალითად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი სამოქალაქო საზოგადოებაში. ასევე, საქართველოს დასახელება.



***— თქვენც მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ჯორჯია და გრუზია არ უნდა უწოდონ?***

— კონსტიტუციაში გვიწერია „საქართველო“, მაგრამ ჯორჯიასაც ვუწოდებთ ჩვენს ქვეყანას, გრუზიასაც და გურჯისტანსაც. ყველგან საქართველო უნდა გვერქვას. ამ ყველაფერზე დისკუსიები უნდა ეწყობოდეს.

***— თოქშოუებში დისკუსიები ეწყობა.***

— ესაა ერთმანეთის ლანძღვაგინება და არა — პრობლემებზე მსჯელობა. ბრიტანეთში ისე შეიცვალა პრემიერი, არავის პრობლემა არ შექმნია. წარმოიდგინეთ, ჩვენთან რა მოხდება, გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი პირი რომ წავიდეს? დაიწყება ქაოსი. ეს იმიტომ მოხდება, რომ ინსტიტუტები და პოლიტიკური ინფრასტრუქტურა არ გაგვაჩნია. ყველაფერი ერთ კაცზე შეიძლება იყოს მიბმული. ეს კაცი ხან სააკაშვილია, ხან ივანიშვილი და ხან — სხვა.

***— თქვენ მონაწილეობთ არჩევნებში?***

— სახალხო პარტია თავის მწირ რესურსებს გამოიყენებს იმისთვის, რომ ქვეყანაში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს. არჩევნებში ვმონაწილეობთ. ხალხმა არ უნდა დაუშვას, რომ მომავალ პარლამენტში ბალასტი მოვიდეს.

ერთხელ, 1999 წელს, სააკაშვილმა თქვა, ბალასტისგან უნდა გავთავისუფლდეთო. ასე გრძელდება — ჯერ მოიყვანენ ახალ სახეებს, რომლებიც არაფერს გააკეთებენ, ღილაკზე თითის დაჭერის გარდა, შემდეგ ბალასტად ისინი იქცევიან. პარლამენტში გავლენებისთვის მებრძოლი და ბალასტის შემქმნელი პირები კი არა, ქვეყანაზე მზრუნველი პოლიტიკოსები უნდა იყვნენ. თორემ, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს შვილებს ქვეყანას ვერ დავუტოვებთ.

# ვახტანგ მაისაია: „თურქეთმა გადალახა წითელი ხაზი“

გულიკო ბალაძე

**შეუძლია თუ არა ევროპას ტერორიზმის ალსაკვეთად რაიმე ქმედითი ზომები მიიღოს? „ახალი თაობა“ ექსპერტს სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.**

***— ბატონო ვახტანგ, ბოლო დროს გერმანიაში იმყოფებოდით, როდესაც მოქალაქეებზე თავდასხმის რამდენიმე ფაქტი მოხდა. ევროპული ქვეყნების, კონკრეტულად, გერმანიის სპეცსამსახურები დასუსტდა?***

— 1972 წლის მიუნხენისა და რამდენიმე მემარცხენე დაჯგუფების მიერ მოწყობილი ტერაქტების შემდეგ, გერმანია არ ყოფილა ტერაქტების მოწყობის ობიექტი.

***— ახლა რატომ გახდა ტერაქტების ობიექტი?***

— მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი იცვლება. გერმანია და საფრანგეთი ე.წ. ისლამური ხალიფატის შეტევის მთავარი ობიექტებია. გერმანიის პოლიცია არ იყო მზად ასეთი ტიპის გამოწვევებისთვის. ისინი არ ემზადებოდნენ ამისთვის. ცივი ომის პერიოდი განსხვავდება იმისგან, რაც ახლა ხორციელდება. დაგეგმილი ტერაქტების გაშიფვრა შეუძლებელია.

***— გერმანია არ მოელოდა ტერაქტებს. თუმცა, ცდილობდა დაერეგულირებინა სირიელი დევნილების საკითხი. გერმანიამაც არაერთი დევნილი მიიღო. გარკვეული ზომები არ უნდა მიეღოთ?***

— გერმანელები არ მოელოდნენ ასეთი ტიპის შეტევებს, განსაკუთრებით იმ მიგრანტებისგან, რომლებიც გერმანიაში ჩასახლდნენ ცივი ომის შემდეგ. საუბარია თურქულენოვან მიგრანტებზე. ისინი ადაპტირებული იყვნენ გერმანულ გარემოსთან, მათ დიდი სარგებელი მოაქვთ გერმანული სახელმწიფოს განვითარებისთვის.

***— თურქულენოვან მიგრანტებს რა სარგებელი მოაქვთ გერმანიისთვის?***

— მუშაობენ და ქვეყნის ეკონომიკაში უდიდესი წვლილი შეაქვთ — სავაჭრო ქსელები აქვთ. ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რომელსაც გერმანელები ნაკლებად ასრულებენ. ინტელექტი საკმაოდ მაღალი აქვთ. ბუნდესტაგში რამდენიმე ათეული თურქული წარმომავლობის დეპუტატია.

***— ცოტა ხნის წინ, ერდოღანი ევროპას ემუქრებოდა, მილიარდები გადმოერიცხა, თორემ ლტოლვილების ახალ ტალღას მიიღებდნენ. რას მოუტანს ევროპას დევნილების ახალი ტალღა?***

— ეს კიდევ უფრო გაართულებს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას. შესაბამისად, შეიძლება ახალი ტერორისტული ტალღის გამომწვევი გახდეს.

***— თურქეთი არ ერიდება რეჟიმის გამკაცრებას. შედეგად, თურქეთის ევროკავშირთან ასოცირებამ ჩაილურის წყალი ხომ არ დალია?***

— თურქეთმა უკვე გადალახა წითელი ხაზი, მგონი, სიკვდილის დასჯის აღდგენას აპირებენ. ეს საბოლოოდ დაასვამს თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობას ლურსმანს. თურქეთმა ახლა დაახლოებით 15 ათასი კაცის წინააღმდეგ რეპრესია განახორციელა გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით. გენერალიტეტი, ფაქტობრივად, გაწმინდა. 360 გენერლიდან 150 დაპატიმრებულია. წარმოიდგინეთ, რა დონის რეპრესიაზეა საუბარი, დაიხურა 60-მდე საინფორმაციო გამოცემა, მათ შორის, ელექტრონული მედიის საშუალებები. რეპრესიები გრძელდება, მეცნიერებსაც ავიწროვებენ. წარმოიდგინეთ, რა ვითარებაა თურქეთში.

***— ძალიან რთული ვითარებაა, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ სირიაში მოქმედმა ტერორისტულმა ძალებმა.***

— რა თქმა უნდა.

***— ევროპას ტერორიზმის ალსაკვეთად რაიმე ქმედითი ზომების მიღება შეუძლია?***

— ასეთი რამ ამ ეტაპზე არ ჩანს. ჯერჯერობით, ევროპა დაბნეულია და სერიოზული ქმედებების განხორციელებას ვერ ახერხებს.

***— თუკი ევროპა რაიმე ქმედით ზომებს ვერ მიიღებს, აისისი სადამდე შეიძლება წავიდეს და რას მიაღწევს?***

— გააგრძელებს ტერაქტებს, დათესავს პანიკასა და შიშს და შეეცდება, გააფართოოს თავისი მოქმედებები — ახლო აღმოსავლეთში კიდევ უფრო მეტი ტერიტორია დაიკავოს და მეტი მოსახლეობა დაიმორჩილოს. მათი მიზანია, დაიკავონ რამდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი — ბაღდადი, დამასკო და სტამბული.

***— სტამბული?***

— დიახ, სტამბულის დაკავებაც აისისის მიზანს წარმოადგენს. ამ სამი ქალაქის დაკავება მათთვის მნიშვნელოვანია და შეეცდებიან გააფართოვონ თავიანთი პოლიტიკური გავლენები.

***— ისლამურ ხალიფატს იმის ძალა შესწევს, რომ თურქეთს სტამბული წაართვას?***

— გამორიცხული არაფერია. არავის ეგონა თუ აისისი ასეთ წარმატებას მიაღწევდა — თუნდაც, ტერიტორიებს ხელში ჩაიგდებდა, შექმნიდა სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს 8 მილიონიანი მოსახლეობით და გახდებოდა გავლენიანი პოლიტიკური ცენტრი. ყველაფერია მოსალოდნელი. მე სტამბულის აღებას არ გამოვრიცხავ.

***— რის იმედი შეიძლება ჰქონდეს ერდოღანს, როდესაც ამდენ გენერალს აპატიმრებს? თუკი დასუსტდება არმია, რით გაუწევს წინააღმდეგობას ხალიფატს?***

— ერდოღანის გავლენის ქვეშ რჩება უშიშროება და პოლიცია, რაც სავსებით საკმარისია ასეთი წინააღმდეგობისთვის. თურქეთის შეიარაღებული ძალები ნატოში მეორეა თავისი შეიარაღებით, რიცხოვნობით. მეორე მხრივ, ცნობილია ერდოღანის ურთიერთობა ისლამურ სახალიფოს ხელმძღვანელობასთან. ერდოღანს შეუძლია გამოიტანოს დიპლომატიური არხები აისისთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. აისისს და ერდოღანის ხელისუფლებას აწყობთ ერთმანეთი. ერდოღანი აისისის მეშვეობით აგვარებს ქურთულ პრობლემას. ხოლო აისისი თავის ეკონომიკურ პრობლემას აგვარებს. საუბარია არასანქცირებული ნავთობის ბაზებზე.

***— მაშინ როგორ უშვებთ, რომ ხალიფატის მხრიდან სტამბულის აღება შესაძლებელია?***

— შეიძლება ისინი რაღაც დონეზე თანამშრომლობენ, მაგრამ წინააღმდეგობებიც არის. აისისთვის ისევე მიუღებელია ერდოღანის მთავრობა, როგორც ერდოღანისთვის — აისისი. ომი მიმდინარეობს და ამ ომში ყველანაირი სცენარის განვითარება შესაძლებელია.



## „2006 წლის 12 იანვრის ღამეს ბაჩო ახალაიამ და მეგის ქარდავამ პატიმრებს სცემეს“

ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე რუსთავის №1 დაწესებულების ყოფილი დირექტორი, ტარიელ ტყემალაძე დაიკითხა.

ტყემალაძემ პროცესზე 2006 წლის 12 იანვრის ღამე გაიხსენა და განაცხადა, რომ სად-ის მაშინდელი თავმჯდომარე ბაჩო ახალაია, მისი მოადგილე ლერი ხუხია და მე-7 დაწესებულების ყოფილი დირექტორი მეგის ქარდავა დაწესებულებაში სპეცრაზმთან ერთად შევიდნენ და პატიმრები, მათ შორის გია გორგაძე, სცემეს.

— მე 2006 წლის 8 იანვარს დავინიშნე დირექტორად. მითხრეს, რომ ამ დაწესებულებაში იყო გია გორგაძე, რომელსაც მეორე დღესვე, 9 იანვარს შევხვდი, — განაცხადა მოწმემ.

მისი თქმით, გორგაძე ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა. ჰქონდა მობილური ტელეფონიც.

— სწორედ მისგან მივიღე ინფორმაცია,



რომ ზონაში იარაღი უნდა შემოსულიყო. ეს ინფორმაცია იმსახურებდა ყურადღებას და საჭიროებდა რეაგირებას, რომელზეც დეპარტამენტი მუშაობდა, — აღნიშნა მოწმემ.

მისი თქმით, ყველა ინფორმაცია არ მართლდება. კონფიდენციალურად მოუწოდებიათ ინფორმაცია, რომელიც ყალბი ყოფილა.

— ავტომატის გარედან ზონაში გადაგდება კი სიმძიმის გამო შეუძლებელი იყო, — განაცხადა ტყემალაძემ.

ამავე საქმეზე კიდევ ერთი მოწმე, ყოფილი სპეცრაზმელი ლევან გურგენაძე დაიკითხა.

შემდეგი პროცესი 8 აგვისტოს გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

## მაია კოპალეიშვილი: „პროკურატურას კონკრეტული ინფორმაცია მივაწოდე“



— ზეწოლის ფაქტი ყოველთვის არ მატერიალიზირდება ანუ ყოველთვის ეს არ არის მატერიალურ ხელშესახებ მტკიცებულებებში.

აღნიშნულის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მაია კოპალეიშვილმა 29 ივლისს ჟურნალისტებს დაკითხვის დასრულების შემდგომ განუცხადა.

მისი თქმით, გამოძიებას მის ხელთ არსებული ინფორმაციები დეტალურად მიაწოდა.

მაია კოპალეიშვილს იმედი აქვს, რომ პროკურატურა მის ხელთ არსებულ რესურსებს გამოიყენებს და საქმეს სწორად შეაფასებს.

— მოლოდინი ნამდვილად გვაქვს, რომ პროკურატურა ყველა მის ხელთ არსებულ რესურსს გამოიყენებს, რათა დადგინდეს და სწორად შეფასდეს ფაქტები. გამოძიებას მივაწოდე ყველა ჩემს ხელთ არსებული ინფორმაცია და კონკრეტული ინფორმაცია კონკრეტული პიროვნებების შესახებ, რაც ჩემთვის იყო ცნობილი, — განაცხადა მაია კოპალეიშვილმა.

ინტერპრესნიუსის კითხვას, არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომ მოსამართლეებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, კოპალეიშვილმა ასე უპასუხა:

— ზეწოლის ფაქტი ყოველთვის არ მატერიალიზდება, ანუ ყოველთვის ეს არ არის მატერიალურ ხელშესახებ მტკიცებულებებში. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ქცევები, რომლებიც ძალიან მალე ქარწყლდება, თუკი დროულად არ მოხდება მისი დამაგრება, როგორც მტკიცებულების. ეს, ზოგადად, ერთ-ერთი ურთულესი ფაქტია გამოძიებისთვის.

მე მესმის მათი, მაგრამ მინდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი სტანდარტი, რომელიც არსებობს ზემოქმედებების ფაქტებთან დაკავშირებით, რომ ის ვლინდება გარეგნულ მოქმედებებში.

მაია კოპალეიშვილის დაკითხვა საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაახლოებით 4 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

## გია აბდალაძე: „ფოტოგრაფების საქმეს“ შეიძლება ფარდა აეხსნას“

— ერთადერთ რამეს ვითხოვთ — სამართლიანობამ იზეიმოს და ჩვენი რეაბილიტაცია მოხდეს სრულიად შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში „ფოტოგრაფების საქმეს“ ფარდა აეხსნას.

ამის შესახებ ფოტორეპორტიორმა გია აბდალაძემ მთავარ პროკურატურაში ჟურნალისტებს განუცხადა.

გია აბდალაძე მეუღლე ნესტან ნეიძესთან ერთად საგამოძიებო უწყებაში სამ საათზე მეტი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, პროკურატურაში გარკვეული საკითხების დასაზუსტებლად იყო დაბარებული, ასევე დაიკითხა მისი მეუღლე.

**გია აბდალაძე:**

— დაგვპირდნენ, რომ უახლოეს მომავალში უკვე დასრულდება გამოძიების პროცედურები და სრულიად შესაძლებელია, რომ უახლოეს მომავალში ფარდა აეხსნას „ფოტოგრაფების საქმეს“.

დავაზუსტეთ კონკრეტული დეტალები, შე-



საძლებელია, უახლოეს მომავალში ჩვენს კოლეგებს კიდევ მოუწიოთ აქ მოსვლა. იმედია, ძალიან მალე დასრულდება ეს ყველაფერი.

ჩვენ ვითხოვთ ერთადერთ რამეს — სამართლიანობამ იზეიმოს და ჩვენი რეაბილიტაცია მოხდეს, უდანაშაულო ადამიანების, რომლებიც პატიმრობაში ვიყავით.

**ინტერპრესნიუსი**

## მერაბ ტურავა: „მთელი საკონსტიტუციო სასამართლო ეჭვმიტანილია“



— მთელი საკონსტიტუციო სასამართლო დღეს არის ეჭვმიტანილი. განცხადება, რომელიც არ არის შეთანხმებული პლენუმის წევრებთან და რომელიც შეეხება საჯარო ბრალდებას, გარკვეული პოლიტიკური ელემენტების მატარებელია.

ამის შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მერაბ ტურავამ მთავარ პროკურატურაში შესვლამდე განაცხადა.

**მერაბ ტურავა:**

— მთელი საკონსტიტუციო სასამართლო დღეს არის ეჭვმიტანილი, რომ ის იმყოფება ზეგავლენის ქვეშ, რომ ის ვერ მიიღებს ობიექტურ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილებას.

ასეთ ვითარებაში, სანამ არ დადგინდება, რომელი მოსამართლის მიმართ და ვის მიერ ხდებოდა ზეწოლა, ასევე რა ფორმების მატარებელი იყო ზეწოლა, ამ საკითხების გარკვევის გარეშე, მე ვფიქრობ, ნებისმიერი ჩვენი გადაწყვეტილება ფარატინა ქაღალდი იქნება. ის საზოგადოების მიერ არ იქნება აღქმული როგორც სამართლიანი, ობიექტური, მიუკერძოებელი.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# საქართველოს ეკონომიკას სტაგნაციის ხანა ელის

სოსო ზაალიშვილი

**საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გადაფარვის ტენდენცია უკვე პოლიტიკური ცხოვრების მართვის მექანიზმად გადაიქცა. ბოლო კვირის განმავლობაში საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვან თემად პრეზიდენტის ოჯახის ახლობლებსა და მოსამართლეებზე ზეწოლა, ახლა კი უკვე, ენდიაის პოლიტიკური პარტიების რეიტინგების კვლევის შედეგების ნდობის საკითხი გახდა.**



წინასაარჩევნო პერიოდში ეს ორი მოვლენა მართლაც მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რადგან ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თვლის, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები ძველსა და ახალ საქართველოს შორის წყალგამყოფად უნდა იქცეს.

თუ საპარლამენტო არჩევნებმა შესაძლოა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის კორექცია გამოიწვიოს, მოვლენამ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ არაბული გაზაფხული ეწოდა და ახლა საქართველოს უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყანაში ჰპოვა განვითარება, შესაძლოა ქვეყნის სუვერენიტეტს შეუქმნას პრობლემა.

საქართველოს რამდენიმე ქვეყანასთან გააჩნია სახმელეთო და საზღვაო საზღვარი. ესენია: რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი. ამ ქვეყნებიდან ოთხივესთან გაგვაჩნდა მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა. რამდენიმე ხნის წინ ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი პარტნიორი შავი ზღვის აუზში შემავალი უკრაინაც გახლდათ.

რუსეთთან ურთიერთობებში პრობლემა 2007 წლიდან დაიწყო.

2004 წლიდან საქართველოს პრეზიდენტი სააკაშვილი და საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ცდილობდნენ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობების დალაგებას. კარგად გვახსოვს ვარდების რევოლუციის წინ და შემდეგაც საგარეო საქმეთა მინისტრ იგორ ივანოვის ხშირი ვიზიტები საქართველოში. ასლან აბაშიძის მიერ საქართველოს დატოვებაც რუსულ დიპლომატიას უკავშირდება.

მიხეილ სააკაშვილი დაჰპირდა კიდეც ვლადიმირ პუტინს აჭარაში, ბათუმში ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნას. იმ დროს რუსეთი ჩრდილო კავკასიაში ჯიჰადისტურ მოძრაობებთან ბრძოლას აწარმოებდა და საქართველოს მხარდაჭერა მისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ.

რევოლუციის შემდეგ სააკაშვილისა და მისი ადმინისტრაციის მოწვევით საქართველოს რუსეთში მოლვაწე ქართველი ბიზნესმენების დელეგაცია ეწვია. დელეგაციაში გავლენიანი რუსი ბიზნესმენებიც იყვნენ.

ხელისუფლების წარმომადგენლები სტუმრებს საქართველოში ინვესტირების და ბიზნესის წარმოების სარგებლიანობაში არწმუნებდნენ. დელეგაციის წევრებმა მთავრობის მიერ სახელდახელოდ შერჩეული რამდენიმე საწარმო მოინახულეს. შემდეგ კი, ქართული სტუმართმოყვარეობის წესიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ წინანდალში სადილი გამართა.

მახსოვს, როგორ ხვდებოდნენ სტუმრებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლები. განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი და ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური გამოირჩეოდნენ.

ორი ქვეყნის ჩინოვნიკებს შორის შექმნილი თბილი და პარტნიორული ურთიერთობა 2006 წლის ბოლოდან გაცივდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი ქართული ბიზნესისთვის დაიკეტა. შემცირდა ფულადი მასის შემოსვლა და ის რამდენიმე მილიარდიანმა დასავლურმა ინვესტიციამ თუ დახმარებამ ჩაანაცვლა.

მოსახლეობას არ უგრძვნია რუსული ბაზრის და ინვესტიციის ნაკლებობა. სავალუტო ბაზარი გაჯერებული იყო ომის შემდგომ საქართველოში შემოსული კაპიტალით.

ბიზნესმა მოასწრო გადაწყობა. ქართველმა მეწარმეებმა არც ისე უცხო, მაგრამ იმ დროისთვის ჩვენგან დაუტვირთავი ბაზრისა და იმპორტის ჩანაცვლებისთვის აუცილებელი მეზობლები მონახეს — უკრაინა და თურქეთი, ნაწილობრივ ირანი და ინდოეთი. ირანი იმ დროისთვის საერთაშორისო სანქციების ქვეშ იყო და სერიოზულ ბიზნესპარტნიორად ვერ გამოდგებოდა. ინდოეთი კი ძალიან შორსაა და საერთაშორისო გადაზიდვები ნაკლებადრენტაბელურს ხდის ამ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობებს.

სახელმწიფოსგან ხელშეწყობილი და ხელოვნურად გამაგრებული ლარის მყარი და ძლიერი კურსი ხელს უწყობდა იმპორტის წარმატებას. ბანკები უხვად გასცემდნენ სესხებს ვალუტაში და თუ მეწარმე ახერხებდა ხელისუფლებასთან საერთო ენის მონახვას, მას პრობლემა არ ექმნებოდა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც იაფი დოლარის მარაგი სხვადასხვა მიზეზების გამო ამოიწურა, ლარმა ვარდნა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ინფლაცია, გარკვეულწილად, შიდა წარმოების მასტიმულირებელი პროცესია, მოსახლეობასა და ბიზნესს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აღებული სავალუტო სესხების მომსახურების პროცენტები დააწვა.

პირველ პერიოდში უკრაინაში, თურქეთში, ირანში წარმოებული ბიზნესი, რუსეთში არსებული ქართული დიასპორისგან საქართველოში შემოსული ვალუტა და „ოცნების“ ხელისუფლების ეკონომიკური დაპირებები დაკარგული ბაზრის ერთგვარ კომპენსაციას ახდენდა და სტაბილურობის შეგრძნებას უჩენდა მოსახლეობას, ანუ ამომრჩეველს.

რუსეთსა და უკრაინას შორის დაწყებული დაპირისპირების შემდეგ ამ ქვეყანაზე დაწესებულმა სანქციებმა, ორივე ქვეყანაში დაწყებულმა ეკონომიკურმა და საფინანსო კრიზისმა საქართველოს ეკონომიკას სერიოზული ზარალი მიაყენა. უკრაინაში ბიზნესის წარმოება არამიმზიდველი და წამგებიანი გახდა, ხოლო რუსეთიდან ვალუტის შემოდინება შემცირდა.

შედეგად ლარის კიდევ უფრო მეტი გაუფასურება და საქართველოში ეკონომიკური სტაგნაციის საწყისი ეტაპი დაიწყო. ჩემთვის მართლაც გაუგებარია, როგორ შეიძლება დადებითად შეფასდეს საქართველოს მთავრობის მუშაობა უკრაინის კრიზისის დაწყებიდან დღემდე, როდესაც საქართველოს ეკონომიკა მოუმზადებელი დახვდა შექმნილ ვითარებას.

ის, რომ რუსეთისთვის სანქციების დაწესება და უკრაინაში არეულობა საქართველოს ეკონომიკასა და ფისკალურ სფეროზე უარყოფით გავლენას იქონიებდა, თავიდანვე ცხადი იყო. მაშ რას აკეთებდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საგარეო, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების ხელმძღვანელები?! რატომ არ მართავდნენ მოლაპარაკებებს იმ ქვეყნების წარმომადგენლებთან, რომლებიც სანქციების ინიციატორები არიან, რათა მათ თავიანთი პარტნიორისთვის დახმარება, ან რაიმე სახის შეღავათი გაეწიათ?!

ნატოს, ევროკავშირის, აშშ-ის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩვენი ქვეყანა რეგიონში მათი ყველაზე სანდო პარტნიორია. არ მგონია, უარი ეთქვათ, დახმარებოდნენ ქვეყანას, რომლის მოსახლეობა საშუალო ევროპული ქალაქის ტოლია. უარის თქმის შემთხვევაში კი გვეცოდინებოდა მაინც, რომ ეკონომიკის ასამუშავებლად რაიმე სხვა ხერხს უნდა მივმართოთ.

* * *

არაბული გაზაფხული რამდენიმე წლის წინ საქართველოსგან ძალიან შორს, ტუნისში, ლიბიაში, სირიასა და ბაჰრეინში დაიწყო. არც ისლამური სახელმწიფოს ტერორისტები ემუქრებიან საქართველოს ეკონომიკასა თუ უსაფრთხოებას.

ასეთი იყო საქართველოს ხელისუფლების ლოგიკა მთელი 5 წლის განმავლობაში. ვერც თურქეთში მომხდარმა არაერთმა ტერაქტმა თუ ამ ქვეყნის ჩართულობამ რეგიონალურ კონფლიქტში გამოაღვიძა ხელისუფლება.

სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩარგვის პოზიცია და წინასაარჩევნო პერიოდისთვის მზადება მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა. ახლა კი, როდესაც თურქეთში სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყო, არ მგონია, ეს ქვეყანა ბიზნესის წარმოებისათვის სახარბიელო იყოს. დასავლეთისა და თურქეთს შორის დაპირისპირების გაღრმავება ადასტურებს, რომ თურქეთსაც გადაეკეტება ფინანსური დახმარება.

ყოფილი პრემიერ-მინისტრ აჰმედ დავითოღლუს ნათქვამი, რომ რუსული სუ-24-ის ჩამოგდების საფუძველი მისი ბრძანება გახდა, ადასტურებს ეჭვს თურქეთში დაწყებულ დაპირისპირებასთან კავშირის შესახებ. დავითოღლუს, ისევე, როგორც თავის დროზე ერდოღანს, საკმაოდ კარგი კავშირები გააჩნია დასავლეთში. ის თურქეთში ნომერ პირველ ტერორისტად მიჩნეულ ფეითჰულა გიულენის მხარდაჭერითაც სარგებლობს.

თუ ერდოღანი ვერ შეძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას, პრეზიდენტობის მთავარი კანდიდატი ყოფილი პრემიერი და მისი გუნდია. როგორც არ უნდა შეიცვალოს თურქეთში ხელისუფლება, ეს ქვეყანა კარგა ხნის განმავლობაში ველარ გახდება სტაბილური ეკონომიკური პარტნიორი და საქართველოსთვის საფრთხის მატარებელი იქნება.

რამდენად მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს ასეთ დროს პრემიერ კვირიკაშვილის ერდოღანის მხარდასაჭერი ვიზიტი, ამას დრო აჩვენებს, თუმცა, ერთი რამ ცხადია, თუ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ არ წარმოადგინა ქართული ბიზნესის რეალური ხელშემწყობის პროგრამა, ქვეყანას სერიოზული ეკონომიკური სტაგნაცია ელის.

## თბილისში ტერაქტის მუქარის შემცველი პოსტის გამო 23 წლის დუისელი ახალგაზრდა დააკავეს



თბილისში აფეთქების მუქარის შემცველი ტექსტის სოციალურ ქსელში გავრცელების გამო სოფელ დუისში მცხოვრები 23 წლის ახალგაზრდა დააკავეს.

როგორც ,ნიუპოსტთან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პრესცენტრი აცხადებს, ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. უწყებაში სხვა დეტალებზე არ საუბრობენ.

28 ივლისს, გვიან ღამით, ფეისბუკ მომხმარებელმა, რომელსაც პროფილის სურათად ომარ ალ შიშანის (თარხან ბათირაშვილი) ფოტო აქვს, აფეთქების ამსახველი ფოტო გამოაქვეყნა სტატუსთან ერთად, რომელიც თბილისში 12:30 საათზე ფეიერვერკის შესახებ იტყობინებოდა.

აღნიშნული პოსტი ინტერნეტის მომხმარებლებმა თბილისში შესაძლო აფეთქების მუქარად მიიჩნიეს.

აღნიშნულ ფაქტზე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოძიება დაიწყო, საგამოძიებო მოქმედებებს სუს-ის კონტრტერორისტული დეპარტამენტი აწარმოებს.

— სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აღნიშნულ ფაქტზე ყველა საჭირო ინფორმაციას ფლობს. სუსის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა გამოძიება ინფორმაციის გავრცელებისთანავე დაუყოვნებლივ დაიწყო. საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მოგვიანებით გაცნობებთ, — აცხადებენ სუს-ში.

## ირაკლი აბესაძე: „მერიის საქმიანობა არ გაუმჯობესდება“

— თბილისელები მერიის საქმიანობაში არანაირ გაუმჯობესებას არ უნდა ელოდნენ. ფაქტია, რომ თბილისის მერიაში ადგილი აქვს შიდა გადაადგილებას.

ასეთი კომენტარი გააკეთა ინტერპრესნიუსთან საუბრისას თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა — თბილისის თავმჯდომარე ირაკლი აბესაძემ საკრებულოში, თბილისის მერიის მიერ ოთხ ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატებთან დაკავშირებით.

**ირაკლი აბესაძე:**

— იქიდან გამომდინარე, რომ ვხედავთ, როგორ არაკვალიფიციურად, არაკომპეტენტურად ხდება თბილისის მართვა, როგორ გაჩერებულია ყველა პროექტი და იფანტება საბიუჯეტო სახსრები, ნათელია, რომ არანაირ გაუმჯობესებას არ უნდა ველოდოთ. ისევ გრძელდება საკადრო ექსპერიმენტები.

თბილისის მერიის მოადგილის თანამდებობაზე წარდგენილია თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსი გიგა ნიკოლეიშვილი; ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე კი წარდგენილია ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ირაკლი ხუცურაულის კანდიდატურა.

მერის მეორე მოადგილის პოსტზე წარდგენილია იურიდიული სამსახურის უფროსი ნატო ქიტიაშვილი. თუ ვინ იქნება იურიდიული სამსახურის უფროსი, ჯერ უცნობია.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი დასახელებულია ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი უკლება.

აბესაძის თქმით, თბილისის საკრებულო მომავალ კვირას აღნიშნულ კანდიდატებთან დაკავშირებულ საკითხს ჯერ კომისიებში, ხოლო შემდეგ საკრებულოს სხდომაზე განიხილავს.

ვაკანტური რჩება არქიტექტურის სამსახურის უფროსის თანამდებობა.

**ინტერპრესნიუსი**



## ზაქარია ქუცნაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე — მცხეთა-მთიანეთში მაჟორიტარობის კანდიდატები

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, გიორგი კვირიკაშვილმა მცხეთა მთიანეთის რეგიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანიდადატები წარადგინა.

მცხეთის მაჟორიტარობის კანდიდატი ისევ დეპუტატი დიმიტრი ხუნდაძე იქნება, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარი კი — დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი.

— მცხეთის მაჟორიტარობის კანდიდატად ,,ქართული ოცნება“ წარმოგიდგენთ დიმიტრი ხუნდაძეს.

ბატონი დიმიტრი გახლავთ პარლამენტარი, ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, კავკასიის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჩვენი გუნდის ერთ-ერთი აქტიური წევრი და გამორჩეული დეპუტატი. იგი გახლავთ არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, — განაცხადა პრემიერმა.



მან ხაზი გაუსვა, რომ გაერთიანდა დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის საარჩევნო ოლქები.

— გაერთიანებული ოლქის მაჟორიტარად ჩვენ ვასახელებთ გამოცდილ პარლამენტარს, მთის კანონის თანაავტორს, ბატონ ზაქარია ქუცნაშვილს. არც მას სჭირდება განსაკუთრებული წარდგენა. ზაქრო ამ კუთხის შვილია, მთიანეთის ნამდვილი პატრიოტია და, დარწმუნებული ვარ, არ მოგაკლებთ მის ყურადღებას, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, ვინაიდან გაერთიანდა სამი რაიონი, ყაზბეგის, სტეფანწმინდისა და დუშეთის რაიონებს ეყოლებათ წარმომადგენლობა უკვე პროპორციულ საპარლამენტო სიაში, რათა მოსახლეობის ხმა სრულად იყოს წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში.

**ინტერპრესნიუსი**

# ღია წერილი

**თბილისის მერს ბატონ დ. ნარმანიას**

1984 წელს „თბილისობის“ ზეიმის ფარგლებში გაიხსნა დედაქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ნაგებობა – რიტუალების სასახლე (არქ. ბ. ჯორბენაძე, ვ.ორბელაძე).

სამწუხაროდ, შემდგომი პერიოდის პერიპეტიების გამო, სასახლე არ ფუნქციონირებდა.

გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (10.09.2013წ. №172) გამოქვეყნდა სამოცდაათ წელს გადაცილებულთა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით და მალე სასახლე ნაწილობრივ ამოქმედდა კიდეც, მაგრამ ის პრაქტიკულად არ ასრულებს პირვანდელ დანიშნულებას და გამოიყენება, როგორც წესი, მხოლოდ ძვირადღირებული კორპორატიული ღონისძიებების ჩასატარებლად.

რამდენიმე წლით ადრე, 1978 წელს, ეგრეთ წოდებული „კუპალნიას“ სანაცვლოდ, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა უნიკალური, შემდგომში „ლაგუნა ვერეს“ სახელით ცნობილი საცურაო კომპლექსი (არქ. ჯგუფის ხელმძღვანელი შ. ყავლაშვილი), სადაც მრავალი თბილისელი ბავშვი, მოზარდი თუ უფროსი თაობის წარმომადგენელი იკაჟებდა ორგანიზმს და საჭიროების შემთხვევაში ეუფლებოდა ცურვას.

იბადება კითხვა – ამ ორი შესანიშნავი ობიექტის მფლობელები – ბ.პატარკაციშვილის ოჯახი და ბ.ივანიშვილი, რატომ არ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს, რათა რიტუალების სასახლემ და „ლაგუნა ვერემ“ გააგრძელონ თავისი საქმიანობა?

ეტყობა, მფლობელებს არ ევალებოდათ პირვანდელი ფუნქციის შენარჩუნება.

რა უნდა მოვიმოქმედოთ შექმნილ სიტუაციაში?

მაგალითად, თბილისის ბ.პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის მფლობელია თბილისის მერია და იგი 49-წლიანი მმართველობით გადაეცა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“.

იქნებ მიზანშეწონილია ამ მაგალითის გამოყენება.

მოვუწოდებთ თბილისის მერიას, აწარმოოს მოლაპარაკება მფლობელებთან, რათა აღდგენილ იქნას ობიექტების პირვანდელი სახით ფუნქციონირება.

ვფიქრობთ, არც ბ.პატარკაციშვილის ოჯახი და არც ბ.ივანიშვილი არ იქნებიან წინააღმდეგნი, რათა მუშაობის განახლების შემდეგ რიტუალების სასახლე და „ლაგუნა ვერე“ უსასყიდლოდ გადასცენ, უფრო მართებულად თუ ვიტყვით, დაუბრუნონ დედაქალაქს.

მერია კი, თავის მხრივ, 49-წლიანი მმართველობით მათვე გადასცემს.

***ზაურ მესხიშვილი***
*თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე*

## სპილომ მაროკოში ქვით გოგონა მოკლა

მაროკოს დედაქალაქ რაბათში მდებარე ზოოპარკში სპილომ შემთხვევით შვიდი წლის გოგონა მოკლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ზოოპარკში მყოფმა მამამ გოგონა მხრებზე შეისვა. ის ამ დროს ვოლიერთან ზურგით იდგა, რათა მეუღლეს მათთვის სურათი ცხოველის ფონზე გადაეღო. ამ დროს დედალმა სპი-



ლომ, სახელად ასიამ, მიწიდან ქვა აიღო და ისროლა, რომელიც ბავშვს კეფაში მოხვდა.

გოგონამ გონება დაკარგა. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მიღებული ტრავმისგან გარდაიცვალა.

ზოოპარკის წარმომადგენლებმა მწუხარება გამოთქვეს მომხდართან დაკავშირებით. მათი თქმით, დაღუპული ბავშვის ოჯახს უსაფრთხოების წესები არ დაურღვევია.

– მსგავსი ინციდენტები ძალიან იშვიათად ხდება, უჩვეულოა და მათი წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია, – აღნიშნა ზოოპარკის თანამშრომელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# როგორ მოვიშოროთ მეჭეჭი



მეჭეჭების წარმოქმნის ძირითადი მიზეზია – კანის გარკვეული ნაწილების ვირუსული დაავადება, რომელთა აკიდებაც შესაძლებელია საუნაში ან აუზში.

მეჭეჭები ყველაზე ხშირად ჩნდება ფეხის ძირებზე, სახეზე, მუხლებსა და ხელის მტევნებზე. არსებობს მეთოდთა დიდი რაოდენობა, რომლებიც დაგეხმარებათ მეჭეჭების მოშორებაში სახლის პირობებში.

* * *

ადამიანის პაპილომა ვირუსით გამოწვეული ინფექციები და მათი დიაგნოსტიკა მარტო დერმატოვენეროლოგებისთვის არ არის საინტერესო, ამით ინტერესდებიან უროლოგები, ონკოლოგები, პათომორფოლოგები, იმუნოლოგები და ვირუსოლოგები, რაც ადამიანის პაპილომა ვირუსის გავრცელებისა და სიმსივნური პროცესის გამოწვევის დიდი უნარით აიხსნება.

ადამიანის პაპილომა ვირუსული ინფექცია ვლინდება სხვადასხვა ტიპის მეჭეჭებისა და მახვილწვეტიანი კონდილომების სახით.

მეჭეჭების ინფექციური წარმომავლობა დადასტურდა XIX საუკუნის ბოლოს, ხოლო მათი ვირუსული ეტიოლოგია XX საუკუნის დასაწყისში.

დღეისათვის ცნობილია ადამიანის პაპილომა ვირუსის 100-ზე მეტი სეროტიპი, და რაც ძალზედ სამწუხაროა, ჩნდება ახალი ჯგუფებიც. ზოგიერთი მათგანი მაღალი რისკისაა (ონკოგენური ანუ სიმსივნესთან ასოცირებული).

ადამიანის პაპილომა ვირუსის გავრცელება უშულო კონტაქტით ხდება, თუმცა ვირუსის გადამტანი შეიძლება რქოვანა ქერცლიც იყოს. ვირუსით ინფიცირების აუცილებელი ფაქტორია კანის მცირე დაზიანება, რითიც აიხსნება მეჭეჭების ლოკალიზაცია ადვილად ტრამვირებად უბნებში (მტევანი, მუხლები, ტერფები).

ვირუსით ინფიცირების მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს ასევე: ვირუსის რაოდენობა კონტაქტის ადგილას, კანზე ექსპოზიციის ხარისხი და კანის იმუნური სისტემის პასუხი ვირუსის მიმართ, რადგან ადამიანის ორგანიზმში ვირუსების რაოდენობა და აქტივობა, პირდაპირ კავშირშია ორგანიზმის იმუნური სისტემის მდგომარეობასთან.

ჯანსაღი იმუნური სისტემა ეწინააღმდეგება ვირუსის გამრავლებას და პაპილომების წარმოქმნას. როგორც წესი, მოხუცებში, წამლების ხანგრძლივი მიღებისას და მძიმე დაავადებების დროს,



ძლიერი სტრესის და ორსულობის დროს იმუნიტეტი ქვეითდება და ვირუსი მრავლდება.

გარკვეული მდგომარეობების დროს (ორსულობა, ავადმყოფობა, სტრესი) პაპილომების ზომა და რიცხვი სწრაფად მატულობს. თუ პაპილომის ფუძე ზიანდება, ვითარდება ანთებითი პრცესი. ამ დროს, როგორც სამედიცინო, ისე ესთეთიკური ჩვენებებით, სასურველია პაპილომების მოცილება.

მეჭეჭის გარკვეულ სახეობას ხშირად თავისი ლოკალიზაციის ადგილი აქვს.

ადამიანის პაპილომა ვირუსული ინფექციის კლინიკური დიაგნოსტიკა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან უმრავლეს შემთხვევაში მეჭეჭები შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. პაციენტმა მეჭეჭების ნებისმიერი გამოვლინებით უნდა მიაკითხოს ექიმს რათა დადგინდეს, რა საშუალებით არის შესაძლებელი მისი მკურნალობა.

* * *

იმისათვის, რომ მოიშოროთ მეჭეჭები ხელებიდან და ფეხის ძირებიდან, მოამზადეთ მოცემული რეცეპტი.

წვრილი სახეხით დააქუცმაცეთ მცირე ზომის ნიორის კბილი და შეურიეთ 1 ჩ/კ ძმარის ესენცია. ამ ხსნარს დაუმატეთ ცოტა ხორბლის ფქვილი და მოზილეთ ცომი. ლეიკოპლასტირში ამოჭერით 0.5 სმ ფართობის ხვრელი.

იგი უნდა იყოს უფრო დიდი, ვიდრე მეჭეჭი და უნდა დამაგრდეს ისე, რომ მეჭეჭი მოხვდეს ამ ხვრელში. ამის შემდეგ, მეჭეჭზე წაისვით მომზადებული ცომი, ზევიდან მიაკარით ლეიკოპლასტირი და შემოატარეთ ბინტი.

2-3 დღის შემდეგ თუ ერთი წასმა არ მოაძრობს მეჭეჭს, მაშინ საჭიროა პროცედურია გამეორება. მოშორებული მეჭეჭის ადგილზე გაჩნდება მცირე ხვრელი, რომლის ამოსავსებაში დაგეხმარებათ „ვიშნიოვსკის მალამო“.

● თუ მეჭეჭმა განვითარება ახლახანს დაიწყო, ვერ მოასწრო ფესვის გაკეთება და აქვს ვარდისფერი შეფერილობა, მისი მოშორება საკმაოდ მარტივია ბაბუაწვერას ახლადდაწურული წვენით, რომლის კანში შეზელაც საჭიროა ყოველდღიურად, მეჭეჭის მოძრობამდე.

● შესანიშნავად დაგეხმარებათ მშრალი ყინული. აიღეთ მშრალი ყინული და მიიდეთ მეჭეჭის გაჩენის ადგილზე, გეჭიროთ მანამ, სანამ შეძლებთ. ყინულის დარჩენილი ნაწილი ჩადეთ ტომარაში და შეინახეთ საყინულეში. ასეთი პროცედურის ჩატარება საჭიროა 5-6-ჯერ დღეში, 2 საათის გამოშვებით. ასეთი მეთოდის წყალობით, ცოტა ხნის შენდეგ მეჭეჭები მოგშორდებათ.

● აიღეთ კარტოფილი და გაჭერით შუაზე. ერთი ნაწილი გადააგდეთ თავს უკან, ხოლო მეორე ნაწილი წაისვით მეჭეჭზე და ჩაფლეთ მშრალ ადგილას. როცა კარტოფილი დალპება, მაშინ მეჭეჭით გაქრება. ეს საკმაოდ ცნობილი საშუალებაა, რომელიც არაერთ ადამიანს დაეხმარა.



# მკურნალი ბუნება

**როზმარინი** – მარადმწვანე სამკურნალო ნახევრადბუჩქი 20-80 სმ სიმაღლისა. აქვს სწორხაზოვანი, კიდეებახვეული მოთეთრო ფოთლები; მოლურჯო ყვავილები. ყვავილობს ივნის-აგვისტოში. მცენარე შეიცავს ეთერულ ზეთს, მთრიმლავ ნივთიერებას, ფისებს და სხვ.

მისი გამოყენება ეფექტურია მეტეორიზმის, ნერვული სისტემის, სისხლძარღვების სამკურნალოდ. ახდენს ზემოქმედებას დაბალ წნევაზე, სქესობრივ სისუსტეზე, ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას.

სასიამოვნო სურნელის გამო ფარმაცევტულ მრეწველობაში იყენებენ სამკურნალო ნაყენებში, მალამოებში, პლასტირებში. ფოთლების ნაყენს ივლებენ პირის ღრუში, იყენებენ კომპრესებში ტანზე გამონაყარებისა და ძნელად შესახორცებელი ჭრილობების სამკურნალოდ.

ფოთლებისა და ერთწლიანი ღეროების ნაყენი გამოიყენება ნევროზისა, კლიმაქსის, კუჭ-ნაწლავის, გაციების, თავის ტკივილის სამკურნალოდ. მცენარე გამოიყენება დიეტურ საკვებად. შაქრიანი დიაბეტის შემთხვევაში.



**რეჰანი** – ერთწლოვანი ბალახია. აშენებენ როგორც საკვებ მცენარეს. აქვს განტოტვილი, სწორი ღერო, 60 სმ-მდე სიმაღლისა. ფოთლები წაგრძელებულია, აქვს ოდნავ შესამჩნევი კბილები. მთელი მცენარე დაფარულია ხაოთი. ყვავილი წყვილტუჩაა.

ნაყოფი შედგება ოთხი მუქი-ყავისფერი კაკლისაგან. სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელიც შეიცავს ევენგელს, მტრიმ-



ლავ ნივთიერებას, ცილებს, ორგანულ მჟავეებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს.

მისი ყველა ნაწილი ხალხური მედიცინისათვის მადის აღმძვრელი საშუალებაა. მისი ნყენი, ნახარში და გამონაწვლილი კარგი ანთების საწინააღმდეგო საშუალებაა. იგი აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. იყენებენ ხველის, ბრონქეალური ასთმის, ეპილეფსიის სამკურნალოდ.

გამოიყენება სისხლის მიმოქცევის დასარეგულირებლად. ცნობილია რეჰანის ათეროსკლეროზის, ავიტამინოზის, პიეტიტის, ცისტიტის, ნაწლავების, კანის დაავადებების, თავის ტკივილის, თავბრუსხვევების, ლაქებისა და პიგმენტების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ.



# მკურნალი მცენარე

**კაკაო, კაკაოს ხე, შოკოლადის ხე** – ტანდაბალი (5–8 მ) მარადმწვანე ხე სტერკულიასებრთა ოჯახისა. აქვს მუქი მწვანე, პრიალა ფოთლები და ყვითელი ან მოწითალო ყვავილები. ნაყოფი (კოლოფა) ყვითელი, ნარინჯისფერი ან წითელია. ყოფა-ცხოვრებაში „კაკაოს პარკს“ უწოდებენ.



ველურად იზრდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტენიან ტროპიკულ ტყეებში. ძველთაგანვე კულტივირებულია ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებში. ამრავლებენ უმთავრესად თესლით. კარგად ხარობს ორანჟერეებში.

თეობრომინისა და მთრიმლავი ნივთიერებების შემცველობის გამო თესლს მწარე, მწკლარტე გემო აქვს. საგემოვნო თვისებების გასაუმჯობესებლად რბილობმოცლილ თესლს 2–7 დღე-ღამის განმავლობაში უტარებენ ფერმენტაციას, რის შედეგადაც იგი სასიამოვნო გემოსა და არომატს იძენს.

კაკაოს თესლი შემადგენილობაში შედის წყალი, ცხიმი, კაკაოს ზეთი, სახამებელი, გლუკოზა, ფრუქტოზა, ცილა, თეობრომინი, კოფეინი, მთრიმლავი ნივთიერებები, მჟავები, მინერალური ნივთიერებები. კაკაოს ნაყოფისაგან იღებენ ბურღულს, ბურღულის წვრილად დაქუცმაცებით – „სრესილ კაკაოს“, რომლისგანაც კაკაოს ზეთსა და შოკოლადს ამზადებენ.

სრესილი კაკაოს დაწნეხით ღებულობენ კაკაოს ზეთს, დარჩენილი კოპტონისაგან კი – კაკაოს ფხვნილს. კაკაოს მედიცინაც იყენებს. მაგ. მისი წასმა ცხვირზე აბრკოლებს გრიპის ვირუსს შეღწევას ორგანიზმში. არის კარგი საშუალება ხველისა და ამოხველებისათვის, ბრონქიტის პროფილაქტიკისათვის და ასთმისათვის. მისი მიღება არეგულირებს არტერიულ წნევას ამცირებს მამაკაცების სიკვდილიანობას გულსისხლძარღვთა დაავადებებით. თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც.

* * *

**კატაბალახა, ვალერიანა** – მრავალწლოვან ბალახოვან მცენარეთა გვარი კატაბალახასებრთა ოჯახისა. გვარში 200-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია მთელ ევრაზიაში, სამხრეთ ამერიკის ანდებსა და ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერ სარტყელში. საქართველოში იზრდება 10 სახეობა. სამკურნალო კატაბალახა ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა.



1,5 მ-მდე სიმაღლის ვარდისფერყვავილებიანი ბალახია. ბევრია საქართველოს ტყისპირებსა და ბუჩქნარებში. ფესურა და ფესვები შეიცავს ეთეროვან ზეთს, ვალერიანის მჟავას, ძმარმჟავას და ჭიანჭველმჟავას, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს. საქართველოში იზრდება აგრეთვე კოლხური კატაბალახა, რომელიც ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ეთეროვან ზეთს და ვალერიანის მჟავას. კატაბალახას პრეპარატებს (ექსტრაქტი, ნაყენი სპირტსა და ეთერზე) იყენებენ ნერვული აგზნების, უძილობის, გულსისხლძარღვთა სისტემის ნევროზის დროს და სხვა. კავკასიაში, უკრაინასა და ზოგ სხვა რაიონში ველური კატაბალახის ფესვებს და ფესურებს იყენებენ, სხვაგან კი კატაბალახა კულტივირებულია.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ჰილარი კლინტონი: „ამერიკელები უნდა გაერთიანდნენ“



აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლა სამშობლოსთვის. ასეთ ვითარებაში ამერიკელები უნდა გაერთიანდნენ.

– გავლენიან ძალებს სურთ, რომ ჩვენ დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირებულნი ვიყოთ. მათ უნდათ, ამერიკა გათიშული იყოს, რომ ჩვენ გვეშინოდეს მომავლის, გვეშინოდეს ერთმანეთის, – თქვა ჰილარიმ.

მისის კლინტონმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ასეთ სიტუაციაში ყველა ჯანსაღი ძალა გაერთიანდება და გაიმარჯვებს.

– საპრეზიდენტო არჩევნები ამისი ნათელი ილუსტრაცია იქნება, – აღნიშნა ჰილარი კლინტონმა.

მან განაცხადა, რომ ამერიკა დაამარცხებს თავის მტრებს ბაღდადში, დამასკოში თუ სხვაგან, რომ კვლავაც დაიცავს თავის მოკავშირეებს, რომლებიც რუსეთის მხრიდან საფრთხეს განიცდიან.

– კარგად გვესმის, რომ ყველა ჩვენს მეგობართან ერთად უნდა ვიმუშაოთ და მხოლოდ ამ შემთხვევაში ვართ ძლიერები, – თქვა ჰილარი კლინტონმა.

## ტაჯიკეთში რუსი ოფიცერი გაასამართლეს

ტაჯიკეთში სამხედრო ტრიბუნალმა რუსეთის არმიის ოფიცერი ივანე შჩერბაკოვი გაასამართლა. მას ბრა-



ლად დასდეს დუშანბეს მცხოვრების მკვლელობა 2015 წელს.

მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით იქნა ჩადენილი.

შჩერბაკოვმა, რომელიც ტაჯიკეთში დისლოცირებულ რუსულ არმიაში მსახურობდა, დანაშაული აღიარა. ტრიბუნალმა მას 22 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

შჩერბაკოვი სასჯელს კრასნოიარსკის მხარეში მოიხდის.

## ელის სლოტკინი: „ამერიკა რუსეთის აგრესიას არ შეეგუება“

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ უსაფრთხოების დარგში ელის სლოტკინმა განაცხადა, რომ პუტინს სურს, რუსეთის ძლევამოსილება აღადგინოს და ის ამერიკის სრულფასოვან კონკურენტად აქციოს.



სლოტკინმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი ცივილიზებული წესებით არ თამაშობს და უპირატესობას ძალას ანიჭებს.

– ამის მაგალითია ის, რაც მოხდა საქართველოში, მოლდოვაში, ის, რაც ხდება ახლა უკრაინაში, – ამბობს სლოტკინი.

ამერიკა რუსეთის აგრესიას არ შეეგუება. გაკეთდება ყველაფერი, რათა მოსკოვს საკადრისი პასუხი გაეცეს.

– რუსეთი უნდა შეეგუოს იმას, რომ მისი იმპერია ვეღარასოდეს აღდგება, – თქვა სლოტკინმა.

ამავე დროს, აშშ-ის თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ თქვა, რომ მისი ქვეყანა რუსეთთან დიალოგზე უარს არ იტყვის.

## პოლონეთში ანტიუკრაინული განწყობა ძლიერდება




პოლონელმა ისტორიკოსებმა გამოაქვეყნეს ახალი დოკუმენტები, რომლებიც უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ვოლინზე პოლონელი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაზე მიუთითებს.

ანტიუკრაინული განწყობა პოლონეთში ძლიერდება. გარკვეული ძალები მოითხოვენ, ძირფესვიანად გადაიხედოს ურთიერთობა უკრაინასთან, რომელიც დღეს პოლონეთის ერთ-ერთი მოკავშირეა.

– ანტიუკრაინული ისტერია რუსული სპეცსამსახურების მიერაა ინსპირირებული, – ამბობს უკრაინის ნაციონალური ხსოვნის ინსტიტუტის დირექტორი ვიტროვიჩი, – მათ შთამომავლებს, ვინც ოდესღაც დასავლეთ უკრაინაში ცხოვრობდა, შთააგონეს, რომ უფლება აქვთ, თავიანთი ქონების დაბრუნება მოითხოვონ, თუკი დაამტკიცებენ, რომ ის უკანონოდ ჩამოართვეს.

მისი აზრით, ანტიუკრაინული ისტერიის გაღვივება რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს და ხელს უწყობს პოლონეთ-უკრაინას შორის უფსკრულის გაღრმავებას.

– პოლონეთის ხელისუფლება ამას უნდა ხვდებოდეს, – თქვა ვიტროვიჩმა.

## საფრანგეთში ეროვნული გვარდია შეიქმნება

საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა განაცხადა, რომ შეიქმნება




ეროვნული გვარდია, რომლის ამოცანა ტერორიზმთან ბრძოლა იქნება.

გვარდია ჟანდარმერიისა და პოლიციის რეზერვის ბაზაზე ჩამოყალიბდება.

პარალელურად გადაიდგმება ნაბიჯები ფრანგული სპეცსამსახურების გაძლიერების მიზნით.

საფრანგეთში ეროვნული გვარდია პირველად 1789 წელს შეიქმნა. საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ის დაშალეს. ახლა გვარდია კვლავ აღდგება.

## ტრამპი: „ყირიმზე ვიხუმრე“

მას შემდეგ, რაც ტრამპმა შესაძლებლად მიიჩნია ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარება, მისი რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა. პრეზიდენტობის კანდიდატმაც სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ იხუმრა.

– სიტყვები ყირიმის აღიარების თაობაზე ჩემი მხრიდან სარკასტული ხუმრობა იყო! აბა, რა მექნა, როცა ლამისაა, რუსეთის აგენტად გამომაცხადეს! – თქვა ტრამპმა.



## რუსები ალეპოს ასაღებად ემზადებიან

რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ჩატარდა თათბირი, რომელზეც



სიტყვით თავდაცვის მინისტრი შოიგუ გამოვიდა.

მან განაცხადა, რომ რუსეთის არმია და პრეზიდენტ ასადის შეიარაღებული ძალები ალეპოს ასაღებად ემზადებიან.

– იგეგმება მსხვილი სამხედრო ოპერაცია. ჩვენ ჩვენს სირიელ მოკავშირეებს ყოველმხრივ დახმარებას გავუწევთ, – თქვა შოიგუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ჩინელმა წყვილმა პირველად გამართა ფოტოსესია



ჩინელმა ცოლ-ქმარმა სუნ ცინლინმა და სუნ ლიშიმ თავიანთი ქორწინებიდან 80 წლისთავზე პირველ საქორწინო ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა. 102 წლის მამაკაცი და მისი 99 წლის მეუღლე ჩინეთის პროვინცია ანჰოიში ცხოვრობენ. მათ ექვსი შვილი, ხუთი შვილიშვილი და ოთხი შვილთაშვილი ჰყავთ.

მეუღლეების თქმით, მათი საქორწინო ცერემონია 1936 წელს ღარიბულად გაიმართა. საზეიმო სუფრაზე მხოლოდ სამი თეფში იდო.

ამიტომ საქორწინო ფოტოსესია მათ თანაცხოვრების 80 წლისთავზე გამართეს. მათ ამაში ათეულობით მოხალისე ეხმარებოდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

● გიწვევთოფისშისამუშაოდ,აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**იყიდება**

● იყიდება მაღალი ხარისხის სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) გარანტიით, ძირითადად იაპონური და გერმანული წარმოების. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჩავი ერნანდესი: „დამისახელეთ ბარსელონის 3 შემტევზე და 3 ნახევარმცველზე უკეთესი ფეხბურთელები“

ბარსელონის ლეგენდარული ნახევარმცველი **ჩავი ერნანდესი** კატარის ჩემპიონატში მალე მე-2 სეზონს დაიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩავიმ კატალონია ერთი წლის წინ დატოვა, მისი პიროვნება ბარსას გულშემატკივრებს გულგრილს მაინც არ ტოვებს.

ესპანურმა მედიამ კატარული ალ სადის 36 წლის ფეხბურთელთან ისაუბრა.

***– როგორ ხედავთ თქვენს მე-2 წელს კატარში?***

– რაც ყველაზე მეტად მომწონს, ფეხბურთის თამაშია და ამის გაგრძელება, სულ მცირე, კიდევ ერთი წელი მინდა. ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა შევასრულო ჩემი კონტრაქტი და რატომ არ უნდა გავაგრძელო კიდევ მე-3 წელიც? თუმცა, ეს ჩემ ფიზიკურ მდგომარეობაზეც იქნება დამოკიდებული – გუნდი განვითარდა.

ცუდად დავიწყეთ, ზოგმა ფეხბურთელმა თავის დამკვიდრება და გუნდის წევრად ქცევა ვერ შეძლო. ოქტომბერში მწვრთნელები შევცვალეთ და მწვრთნელი, რომელიც მოვიდა (პორტუს ყოფილი მწვრთნელი ჟეზუალდუ ფერეირა), უკეთესი ტაქტიკური ცოდნა და ევროპაში დიდი გამოცდილება ჰქონდა. 2-3 ფეხბურთელიც ვიყიდეთ და საბოლოოდ უფრო დიდი გამოწვევის მიღებაც შევძელით.

უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში კატარში ფეხბურთს საუკეთესოდ ვთამაშობთ, მაგრამ ესეც კი ვერ იქნება იმის გარანტია, რომ ყოველთვის მოიგებ. ემირის თასის ფინალს მივაღწიეთ, მაგრამ 2:0 წინ გასვლის შემდეგ თამაშის გაფუჭება შევძელით. თუმცა, იქ მხოლოდ გამარჯვებებისთვის არ ვარ. იქ იმისთვის ვარ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს დავეხმარო და ვავარჯიშო. ეს პროექტი ძალიან საინტერესოა.

***– როგორ წარმოგიდგენიათ საკუთარი თავი კარიერის დასრულების შემდგომ?***

– საბოლოო მიზანი მწვრთნელობაა. ვცდილობ, დავინახო, სად მოერგება ყველაზე კარგად ჩემი პიროვნება, ჩემი ტიპი. კლუბის დირექტორიც სიამოვნებით ვიქნებოდი, რადგან ეს სპორტი, ფეხბურთის გარდა, ბიზნესიცაა. ახალგაზრდებთან მოედანზე ყოფნას ვამჯობინებ. ჯერ ლიცენზიაც კი არ მაქვს, ადრეა.

***– მწვრთნელის ლიცენზიას ესპანეთში მიიღებთ?***

– დიახ, მადრიდში. კატარში უფრო მეტი ხანი დამჭირდებოდა, ბოლო-ბოლო ენის ფაქტორის გამო.

***– რამდენი ხანი დაგჭირდებათ?***

– კურსი 3 ნაწილისგან შედგება, თითო 2 ან 3 კვირა გრძელდება. ვცდილობთ, რომ ჩვენთვის, აქტიური ფეხბურთელებისთვის ზოგი ეტაპი გამოტოვებულ იქნეს მათთვის, ვისაც ლიცენზიის სწრაფად მიღება სურს.



***– არის თუ არა თქვენი პირველი დანიშნულების ადგილი ბარსელონა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ კატალონიაში ძალიან გელიან.***

– ჩემთვის პატივია, რომ ისინი ჩემზე ფიქრობენ და ბარსელონიდან შორს ერთი წლის გატარების შემდეგაც ჩემს სახელს ისევ ახსენებენ. მაგრამ ჯერ ძალიან ადრეა. არ ვფიქრობ, რომ მწვრთნელობისთვის მზად ვარ. ძალიან ადრეა, მაგრამ ვგრძნობ, რომ მწვრთნელობა მაინტერესებს.

***– შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ტიკი-ტაკა მკვდარია?***

– არა. ის რომ მკვდარი იყოს, სერიოზულ ხათაბალაში ვიქნებოდით. ბარსელონა აღარ ვიქნებოდით. ბარსას მსგავსად ვერავინ თამაშობს. არცერთი გუნდი არაა ბარსას დონეზე.

***– არც პეპის ბაიერნი ბოლო რამდენიმე სეზონის განმავლობაში?***

– არა.

***– ბარსას ამჟამინდელი გუნდის შესახებ რას იტყვით?***

– ბარსა არის გუნდი, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს, ეროვნული ნაკრებების გათვალისწინებითაც. ბარსელონის მსგავსად ვერცერთი გუნდი თამაშობს. იმის გარდა, რომ საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს, ბარსას საუკეთესო ფეხბურთელებიც ჰყავს. ბარსა მიუწვდომელია.

***– ეს შეფასება ცოტა გადაჭარბებული ხომ არაა?***

– მხოლოდ ის ვიცი, რომ ტელევიზორში ბევრ საფეხბურთო მატჩს ვუყურებ და უმეტესობა მბეზრდება ხოლმე. მხოლოდ ბარსელონის თამაშის ყურებით ვიღებ სიამოვნებას.

***– მართალია, მაგრამ საბოლოოდ მაინც შედეგებია მთავარი, ბარსამ კი ჩემპიონთა ლიგა ვერ მოიგო.***

– დამისახელეთ ბარსას წინა ხაზის 3 შემტევზე უკეთესი ფორვარდი ან ვინმე მის 3 ნახევარმცველზე უკეთესი. ასეთს ვერ იპოვით. რაც გვაქვს, იმის მიხედვით უნდა განვსაჯოთ, რადგან ამ შემთხვევაში შავი და თეთრი არ არსებობს. წაგებაც და მოგებაც შესაძლებელია. ჩემპიონთა ლიგა მხოლოდ სპორტული მიზეზების გამო წავაგეთ, რადგან გოლი ვერ გავიტანეთ, იმ დღეს ეფექტურები ვერ ვიყავით, მაგრამ, თუ ჩვენ ვსაუბრობთ ფეხბურთზე გლობალური გაგებით, მას ბარსელონა ისევ თამაშობს. ეს ეჭვგარეშეა.

***– მართალია, რომ მესი-სუარესი-ნეიმარის ძალა კლუბს ტიკი-ტაკას ახალი ვერსიის ათვისებას აიძულებს?***

– ნამდვილად. ისეთი ფორვარდების ყოლა, რომლებსაც საკუთარი თამაშის შექმნა შეუძლიათ, ფუფუნებაა. ახლა თითოეულის თამაშის განსაზღვრა საჭიროა არაა, რადგან ამ სამიდან ერთი მაინც გამოიჩენს თავს და თამაშს შეცვლის. ეს არის ბარსელონის უპირატესობა. ახლა მეტოქეებმა არ იციან, რა ქნან, მოედნის წინა ნაწილშია პრესინგი საჭირო თუ სიღრმეში. ახლა ბარსელონას თავდასხმის ბევრი ალტერნატივა გააჩნია. ისინი კონტრშეტევაზე გადავლენ და ეს სუფთა სპექტაკლია. არსენალთან კონტრშეტევა სახელმძღვანელოებშია შესატანი.

***– მიუხედავად ამისა, მსოფლიოს 3 ტოპ ფორვარდის ყოლასაც აქვს უარყოფითი მხარე – არავის უნდა ბარსელონაში მოსვლა.***

– ჩვენ ის უნდა გვაინტერესებდეს, თუ რა სჭირდება ბარსას. ბევრი ფეხბურთელი მას არ სჭირდება.

***– როგორ უნდა დაარწმუნო ტოპ კლასის ფორვარდი, რომ მოვიდეს და ამ 3 მონსტრს გაუწიოს კონკურენცია?***

– რაღაში გჭირდება დიდებული ფორვარდი, თუკი 3 ასეთი უკვე გყავს. მათ უფრო დაბალი პროფილის მქონე ფეხბურთელი უნდა მოძებნონ, რომელიც გუნდის ნაწილი გახდება.

***– თუმცა ნოლიტოს უნდოდა მოსვლა.***

– ეს მე არ მეხება. არ ვიცი, ეს რატომ არ მოხდა. ის ნამდვილად უნდა გამხდარიყო გუნდის წევრი.

## რენატო სანჩესი — ევროპის ჩემპიონი ბაიერნში ტიტულით ჩადის

ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ერთ-ერთი ნათელი წერტილი ევროპის ჩემპიონი, ტურნირის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად აღიარებული რენატო სანჩესი იყო.

რენატო სანჩესი 18 წლისაა. ფრანგ მწვრთნელ გი რუს არ სჯერა, მაგრამ, ალბათ, მაინც ასეა. ყოველ შემთხვევაში, ეს ასეა პასპორტის მიხედვით და, როცა ოფიციალური დოკუმენტი ამას ამბობს, რა უფლება გვაქვს, მას არ ვერწმუნოთ.

რენატო სანჩესი დიდებული იყო ევროპის ჩემპიონატზე. რენატო ისე თამაშობს, რომ 18 წლის თინეიჯერი კი არა, დაღვინებული ფეხბურთელი გეგონებათ.

ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, კლდესავითაა. წარმოუდგენელია, მას ბურთი იოლად წაართვა. იცის, როგორ უნდა გაამწვავოს სიტუაცია და გაიტანოს გოლი. მოკლედ, ჭაბუკს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ მსოფლიო ფეხბურთის გამორჩეულ ვარსკვლავად იქცეს.



საინტერესოა, რომ რენატოს მამა პორტუგალიელი არ არის. მასაც რენატო სანჩესი ჰქვია და ის წარმოშობით პორტუგალიის ყოფილი კოლონიიდან, სან ტომე და პრინსიპიდანაა. ახლა ეს ქვეყანა დამოუკიდებელია.

რენატო სანჩესს არც დედა ჰყავს პორტუგალიელი. ის ამ ქვეყნის მეორე ყოფილ კოლონიას, კაპო ვერდეს წარმოადგენს.

ბიჭი კი ლისაბონის გარეუბანში დაიბადა. ბებიამ მას თავიდანვე დაარქვა მას მეტსახელი ბულო და სანჩესს ის დღემდე მოჰყვება.

ბიჭის დაბადების შემდეგ ძალიან მალე სანჩესების ოჯახი დაიშალა – მამამისი სამუშაოდ საფრანგეთში გადავიდა და, სანამ ის პორტუგალიაში არ დაბრუნდა (2002 წელს), რენატო პორტუგალიის რეგისტრირებული მოქალაქე არ იყო. სწორედ აქედან მოდის შეკითხვები მის ასაკთან დაკავშირებით.

რენატო სანჩესი ბენფიკას აკადემიაში აღიზარდა. 2014 წლიდან მან ამ გუნდის დუბლშემადგენლობაში დაიწყო თამაში. სულ მალე იუნიორთა ნაკრების ლიდერი ბენფიკას ძირითად გუნდში დაწინაურდა და ეს უკვე დიდი ამბავი იყო.

**რენატო სანჩესი:**

– წარმატება უცბად მოვიდა, მაგრამ მას ჩემთვის თავბრუ არ დაუხვევია. ვაგრძელებ შრომას და ვიცი, რომ ჩემში კიდევ არის მომატების პოტენციალი. ჯერ არაფრისთვის მიმიღწევია. ყველაფერი წინ არის და ახლა გაორმაგებული შრომაა საჭირო.

ფეხბურთელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კოორდინაციაზე მუშაობას. ამიტომაც მისთვის ბურთის ართმევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ცოტა ხნის წინ სანჩესისთვის ერთმანეთს ევროპული ფეხბურთის ორი გოლიათი დაეჯახა. ბაიერნმა მანჩესტერ იუნაიტედს მოუგო ბრძოლა და ტალანტი თავისთან წაიყვანა.

ამბობენ, რომ 18 წლის ბიჭი ალიანც არენაზე ეპიზოდური როლით არ დაკმაყოფილდება. ეს გასაკვირიც არ არის – რენატო სანჩესი იქ ევროპის ჩემპიონის რანგში მივიდა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## რონალდინიო და ელ კლასიკოს იდუმალი ამბავი

ბოლო დღეებში სოციალურ ქსელში ბარსელონის კაპიტან ანდრეს ინიესტას სიტყვები გავრცელდა, რომელიც კატალონიელთა ბრაზილიელ ლეგენდა რონალდინიოს ეხება.

აი, რას ყვება **ანდრეს ინიესტა:**

– ელ კლასიკომდე რამდენიმე დღით ადრე რონალდინიომ შუაღამისას დამირეკა და მითხრა:

– ანდრეს, ვიცი, რომ ღამის 3 საათია, მაგრამ რაღაც უნდა გითხრა. ბარსელონას ივნისში ვტოვებ.



ჩემმა ძმამ რეალთან კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. მადრიდელები დაუჯერებელ თანხას მთავაზობენ და უარის თქმა არ შემიძლია. ახალგაზრდა ხარ და ვიცი, გამიგებ, მაგრამ, გთხოვ, არავის უთხრა. არც ფეხბურთელებს და არც სხვა ვინმეს. შენ ყველაზე მეტად გენდობი. ღამე მშვიდობის, ანდრეს!

მან პასუხის გაცემის საშუალებაც კი არ მომცა.

მეორე დღეს ვარჯიშზე ვიყავით და ვგრძნობდი, რომ ჩემ გარშემო რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა. ყველა რონალდინიოს ეხვეოდა, ისე, როგორც არასდროს.

ელ კლასიკოს დღეც მოვიდა. სანტიაგო ბერნაბეუზე გასახდელში ვიყავით. რონალდინიომ საუბარი დაიწყო და გვითხრა:

– ბიჭებო, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს. მეტოქე ძლიერია, მაგრამ ბოლო დღეებში მივხვდი, რომ ჩვენ ოჯახი ვართ. ყველა თქვენგანს ღამით დავურეკე და ვუთხარი, რომ ივნისში რეალში გადავდიოდი. ჩემი საიდუმლო არავინ გათქვა. ამის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მზად ვართ, ერთმანეთისთვის თავი გავწიროთ. ბარსელონაში კიდევ დიდი ხნით ვრჩები. ახლა კი გავიდეთ მოედანზე და რეალს საფეხბურთო გაკვეთილი ჩავუტაროთ.

იმ საღამოს რონალდინიომ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა. მან 2 გოლი გაიტანა და ბერნაბეუზე შეკრებილი გულშემატკივრებისგან აპლოდისმენტები დაიმსახურა.

## ზინედინ ზიდანი: „რეალში თამაში იოლი არ არის“

სანამ ევროპის წამყვანი ჩემპიონატი დაიწყება, მანამდე გუნდები ამხანაგურად ხვდებიან ერთმანეთს.

ერთი ასეთი შეხვედრა მადრიდის რეალსა და პარიზის პსჟ-ს შორის გაიმართა, რომელიც პარიზელებმა 3:1 მოიგეს.

მთავარი კითხვები მადრიდელთა მწვრთნელ **ზინედინ ზიდანთან** იყო, რომელმაც დიდ გუნდში საკუთარი შვილი, ენცო დააწინაურა და პსჟ-სთან ათამაშა კიდეც.



***– კმაყოფილი ხართ გუნდის თამაშით?***

– ცხადია, არ ვარ, მაგრამ ბიჭებს მეტს ვერ მოვთხოვდი, ვინაიდან პრესეზონი ახალი დაწყებული გვაქვს. ჯერჯერობით ყველაფერი კარგ ტემპში მიდის. რაც ყველაზე მთავარია, დავინახე, რომ ფიზიკური თვალსაზრისით აშკარად ვპროგრესირებთ.

***– გუნდმა წააგო და ვერც სანახაობრივი კუთხით დაიკვეხნიდა.***

– მარცხი არავის უხარია. მათ შორის ვარ მეც, მაგრამ ეს პრესეზონის პირველი მატჩი იყო. შედეგს არაფერი გადაუწყვეტია, აქედან გამომდინარე, ნერვიულობის საფუძველი არ გვაქვს, სხვა მატჩებში უფრო კარგად ვითამაშებთ და შემადგენლობაც უფრო ძლიერი გვეყოლება.

***– მაინც რით გაჯობათ პსჟ-მ?***

– მეტოქე უფრო აგრესიული იყო, ჩვენ კი ამ კომპონენტში აშკარად მოვიკოჭლებდით, მაგრამ პარიზელები არაერთ ასპექტში დავჯაბნეთ, რამაც გამახარა. მეორე ტაიმი გაცილებით უკეთესი იყო, მაგრამ პირველ 45 წუთში ყველაფერს ნათელი მოეფინა.

***– რა არის გამოსასწორებელი გუნდში, რათა მომავალ სეზონში წარმატებას მიაღწიოთ?***

– შემდეგი მატჩის ჩატარება ლონდონის ჩელსისთან მოგვიწევს, სადაც გაცილებით ძლიერი შემადგენლობა გვეყოლება, ვინაიდან შემადგენლობაში მატებაა. შეგირდები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ დროულად ჩადგნენ ფორმაში. „არისტოკრატთა“ წინააღმდეგ არაერთ ტაქტიკას გამოვცდით.

***– მოულოდნელი იყო თქვენი შვილის, ენცოს გამოჩენა შემადგენლობაში. რით ახსნით ამ ფაქტს?***

– ენცოს შანსი მივეცი, ისევე, როგორც სხვა კასტილიელებს. ეს არის ტესტმატჩები, სადაც ყველამ უნდა ითამაშოს.

***– ცუდი მატჩი ჩაატარა ქარიმ ბენზემამ, ასევე მოულოდნელი იყო ხამეს როდრიგესის თამაში, ხოლო ხესე ერთადერთი ნათელი წერტილი იყო.***

– ბენზემა ოპტიმალურ ფორმაში არ არის. მას მცირე პრობლემა აქვს, მაგრამ სერიოზული არაფერია. მიხარია, რომ ხამესი შემოგვიერთდა. ის მალე შეძლებს, გუნდს დაეხმაროს. ხესე კარგ ფორმაშია, ყოველდღიურად უმატებს და მისი გვეიმედება.

***– ახალგაზრდებს დიდი დრო ხომ არ მიეცით?***

– ახალგაზრდებთან ვმუშაობდი და ზუსტად ვიცი, რამხელა პოტენციალი აქვთ მათ. რეალში თამაში იოლი არ არის, უდიდესი ბარიერების გადალახვა გიწევს, მაგრამ მთავარი მონდომება და შრომაა.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 1 აგვისტო

07.30 დ/ფ "ფოტო" – გერმანული საგნობრიობა 08.00 ან/სერ. "მხიარული ფერმა" 09.00 ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. "**ქალი" რომელიც ბრუნდება**" 12.30 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "დღე მუზეუმში" 14.30 ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" 15.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ხმა წარსულიდან**" 19.00 მინი/სერ. "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" 20.50 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.30 ტ/სერ. "**ბეითსების მოტელი**" 22.30 "ოლიმპიური დღიური" 23.00 მხ/ფ "**უცხო ჩვენს შორის**" (მ.გრიფიტი) 01.10 მხ/ფ "**8 მილი**"

08.00 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 09.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 10.00 დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან" 11.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 "თოფ გიარი" 14.00 მხ/ფ "**დიასახლისი**" 16.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 16.30 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 17.30 "გააგრელე საქართველოს ისტორია" 18.30 ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" 19.30 "ტელებლოგი" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00, 23.30 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 23.00 "ნამდვილი დრო" 00.30 მხ/ფ "**კეთილი იყოს შენი დაბრუნება როსკო ჯენკინს**"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" 07.00, 14.40 სერ. "**ფიცი**" 7-8 სერ. 08.00, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ბამბის ველი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 11.20 სერ. "**ჟუმონგი**" 12.20 ცეკვავენ ვარსკვლავები 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ელიფი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 5**" 1 სერ. 23.00 სერ. "**სპარტაკი**" 1 სერ. 00.00 ილო ბეროშვილის შოუ 01.00 მხ/ფ "**მთელი ცხოვრება მის თვალწინ**" 02.45 მხ/ფ "**ობობას ნიღაბი**" 04.15 მხ/ფ "**მიჩუმებული ყვირილი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30 დ/ფ - შ.მალაშხია 08.30, 09.10, 01.00, 03.30 მხ/ფ. 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 სერ. "**გაბრიელა**" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**ცხოვრების გზები**" 19.45, 20.05 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 22.00 ქ. მხ/ფ. "**გასეირნება ყარაბაღში - 1**" 00.00 დ/ფ "გერმანული ტრაგედია" შ.მალაშხია

8.00 ან/სერ. - "**ავატარი**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00, 0.45 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 2.45 სერ. "**ძვლები**" 15.00 მხ/ფ "**ბეტმენი სამუდამოდ**" 17.30 სერ. "**მსახიობი მამა**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 21.30 სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" 23.00 მხ/ფ "**უცხო მტაცებლის წინააღმდეგ**"

06.25 პატერიკი ხატმწერის შესახებ (გამ. 25. ივლისი) 06.35 ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" II ნაწ. 06.45 მოკ. მხ/ფ "**არაჩვეულებრივი რეისი**" 07.20 ქართული ალბომი 07.45 ჩვენი საგანძური "აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა" (გამ. 28 ივლისი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ქეთო და კოტე**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 1. მე წვიმად მოვალ 2. მონადირე, ბიჭი და ძაღლი 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.45 სპექტაკლი "**პატარა უფლისწული**" 17.25 დ/ფ "ილია ჭავჭავაძე-ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" I ნაწ. 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო მეცხრე ნეტარება 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.50 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ყველაზე სწრაფები მსოფლიოში**" 20.40 ძილი ნებისა "ხუთკუნჭულა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 პატერიკი 37. ღვთის განგებულებაადამიანის ცხოვრებაზე 21.35 საეკლესიო ალმშენებლობა "ბოლნისის ეპარქიის ტაძრები" 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველი მიქია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.30 დიდ ხარ შენ უფალო......მოციქულთა საუკუნის დასასრული 00.25 "კვირიაკის" სიუჟეტი "უწმინდესი იერუსალიმში" 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ქალთა ექიმი**" 10.05 სერ. "**ტატიანა**" 11.05 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 13.00, 14.05 , 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 2.30 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.55, 19.05 სერ. "**ზოგადი თერაპია**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45 სერ. "**ჯადოქარი**" 21.40 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" 22.35 სერ. "**მახე**" 23.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

## სამშაბათი 2 აგვისტო

